

ევროკავშირისა და საქართველოს საბაჟო ქვეკომიტეტის გადაწყვეტილება
No 1/2021

1 სექტემბერი 2021

ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესწორების თაობაზე „საქონლის წარმოშობის“ ცნების განსაზღვრისა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ I ოქმის ჩანაცვლების გზით

ევროკავშირისა და საქართველოს საბაჟო ქვეკომიტეტი,

მხედველობაში იღებს რა, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებას¹, და კონკრეტულად კი I ოქმის მე-3 მუხლს „საქონლის წარმოშობის“ ცნების განსაზღვრისა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის შესახებ,

ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ

(1) ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის არსებული ასოცირების შეთანხმების („შეთანხმება“) 23 (2) მუხლი მითითებას აკეთებს შეთანხმების I ოქმზე („ოქმი I“), რომელიც ადგენს წესებს წარმოშობის შესახებ.

(2) I ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, შეთანხმების 74-ე მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ საბაჟო ქვეკომიტეტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება I ოქმის დებულებების შეცვლის თაობაზე.

(3) პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ რეგიონული კონვენცია („კონვენცია“), მიზნად ისახავს კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს შორის, ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით გათვალისწინებული წარმოშობის წესების შესახებ მოქმედი ორმხრივი სისტემების მრავალმხრივ ჩარჩოში მოქცევას, ამ ორმხრივ შეთანხმებებში მოცემული პრინციპების შეუზღუდავად.

(4) ევროკავშირმა კონვენციას ხელი მოაწერა 2011 წლის 15 ივნისს. No 1/2016² გადაწყვეტილებით, კონვენციის 3(1) მუხლის თანახმად დაფუძნებულმა ერთობლივმა კომიტეტმა გადაწყვიტა, საქართველო მიწვეული ყოფილიყო კონვენციასთან მისაერთებლად..

¹ OJ EU L 54, 26.2.2013, გვ. 4.

² პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ რეგიონული კონვენციის ერთობლივი კომიტეტის 2016 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/2016 საქართველოს თხოვნასთან დაკავშირებით, გახდეს პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების რეგიონული კონვენციის ხელშემკვრელი მხარე (OJ EU L 329, 3.12.2016, გვ. 118).

(5) ევროკავშირმა და საქართველომ განახორციელეს შეერთების ინსტრუმენტების დეპონირება კონვენციის დეპოზიტართან 2012 წლის 26 მარტს და შესაბამისად, 2017 წლის 17 მაისს. მაშასადამე, კონვენციის 10(3) მუხლის თანახმად, კონვენცია ევროკავშირსა და საქართველოსთან მიმართებით ძალაში შევიდა 2012 წლის 1 მაისს და შესაბამისად 2017 წლის 1 ივლისს.

(6) საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ქვეკომიტეტის No 1/2018 გადაწყვეტილებით I ოქმი ჩანაცვლდა ახალი ოქმით კონვენციაზე მითითებით¹.

(7) კონვენციაში შესწორების შეტანის დასრულებამდე და ძალაში შესვლამდე, ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ, რომ გამოიყენებენ ალტერნატიულ წესებს წარმოშობის შესახებ, რომლებიც შემუშავებულია შესწორებული კონვენციის საფუძველზე და შეიძლება გამოყენებულ იქნას ორმხრივად, როგორც კონვენციაში მოცემული წარმოშობის წესების ალტერნატივა.

(8) I ოქმი უნდა ჩანაცვლდეს ახალი ოქმით, რომელიც ადგენს წარმოშობის ალტერნატიულ წესებს. გარდა ამისა, კონვენციაზე მითითება ახალი ოქმით უნდა იყოს დინამიკური, რათა ყოველთვის მითითებული იყოს კონვენციის უახლესი ძალაში მყოფი ვერსია.

იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

¹ ევროკავშირისა და საქართველოს საბაჟო ქვეკომიტეტის 2018 წლის 20 მარტის No 1/2018 გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობს ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ატომური ენერგიის საზოგადოებას და მათ წევრ სახელმწიფოებს, და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების I ოქმის ჩანაცვლებას, რომელიც ეხება "საქონლის წარმოშობის" ცნების განსაზღვრასა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდებს. (OJ EU L 140, 6.6.2018, გვ. 107).

მუხლი 1

ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შეთანხმების I ოქმი, რომელიც ეხება „საქონლის წარმოშობის“ ცნების განსაზღვრას და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდებს, ჩანაცვლდეს ამ გადაწყვეტილების დანართში მოყვანილი ტექსტით.

მუხლი 2

გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი

მიღებისთანავე.

ის მოქმედია 2021 წლის 1-ლი სექტემბრიდან

შესრულებული თბილისში, 2021 წლის 1 სექტემბერს

ქვეკომიტეტის სახელით

პრეზიდენტი

ს.ურიდია

დანართი

ოქმი I

„საქონლის წარმოშობის“ ცნების განსაზღვრისა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ

მუხლი 1

მოქმედი წარმოშობის წესები

1. ამ შეთანხმების განხორციელების მიზნებისთვის გამოიყენება პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის შესახებ რეგიონული კონვენციის („კონვენცია“) I დანართი და II დანართის შესაბამისი დებულებები, უახლესი შესწორებული და გამოქვეყნებული *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში*.
2. ნებისმიერი მითითება „შესაბამის შეთანხმებაზე“ კონვენციის I დანართსა და II დანართის შესაბამის დებულებაზე განმარტებული იქნება როგორც მითითება ამ შეთანხმებაზე.
3. კონვენციის I დანართის 16(5) მუხლის და 21(3) მუხლის მიუხედავად, თუ კუმულაცია მოიცავს მხოლოდ EFTA სახელმწიფოებს, ფარერის კუნძულებს, ევროკავშირს, თურქეთის რესპუბლიკას, სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესის მონაწილეებს, მოლდოვის რესპუბლიკას, საქართველოსა და უკრაინას, წარმოშობის მტკიცებულება შეიძლება იყოს EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი ან წარმოშობის დეკლარაცია.

¹ OJ EU L 54, 26.2.2013, 83. 4.

მუხლი 2

წარმოშობის ალტერნატიულად მოქმედი წესები

1. წინამდებარე ოქმის 1-ლი მუხლის მიუხედავად, შეთანხმების განხორციელების მიზნით, საქონელი, რომელიც იღებს პრეფერენციული წარმოშობის სტატუსს, ამ ოქმის A დანართში ("გარდამავალი წესები") განსაზღვრული წარმოშობის ალტერნატიული წესების შესაბამისად, ასევე ჩაითვლება ევროკავშირის ან საქართველოს წარმოშობის სტატუსის მქონედ.
2. გარდამავალი წესები გამოიყენება იმ კონვენციაში, შესწორების ძალაში შესვლამდე, რომელსაც ეფუძნება გარდამავალი წესები.

მუხლი 3

დავების მოგვარება

1. კონვენციის I დანართის 32-ე მუხლით ან წინამდებარე ოქმის A დანართის 34-ე მუხლით გათვალისწინებულ შემოწმების პროცედურასთან წარმოშობილი დავები, რომელთა გადაწყვეტაც ვერ ხდება შემოწმების მომთხოვნ საბაჟო უწყებასა და შემოწმების განხორციელებაზე პასუხისმგებელ საბაჟო უწყებას შორის, წარედგინება საბაჟო ქვეკომიტეტს.
2. ნებისმიერ შემთხვევაში, დავები იმპორტიორისა და იმპორტიორი სახელმწიფოს საბაჟო უწყებას შორის უნდა გადაწყდეს ამ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4

ოქმში ცვლილებების შეტანა

საბაჟო ქვეკომიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ამ ოქმის დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მუხლი 5

კონვენციიდან გასვლა

1. იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი ან საქართველო კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, წერილობით წარადგენს შეტყობინებას კონვენციის დეპოზიტართან კონვენციიდან გასვლის განზრახვის შესახებ, ევროკავშირი და საქართველო დაუყოვნებლივ დაიწყებენ მოლაპარაკებებს ამ შეთანხმების განხორციელების მიზნებისთვის წარმოშობის წესების განსაზღვრის თაობაზე.
2. ახლად შეთანხმებული წარმოშობის წესების ძალაში შესვლამდე, ამ შეთანხმების მიზნებისთვის გამოიყენება კონვენციიდან გასვლის მომენტისთვის ძალაში მყოფი I დანართი და, საჭიროებისამებრ, II დანართის შესაბამისი დებულებები. ამასთან, გასვლის მომენტისთვის ძალაში მყოფი კონვენციის I დანართი და, საჭიროებისამებრ, II დანართის შესაბამისი დებულებები განმარტებული იქნება ისე, რომ არსებობდეს ორმხრივი კუმულაციის საშუალება, მხოლოდ საქართველოსა და ევროკავშირის შორის.

ალტერნატიული მოქმედი წარმოშობის წესები

პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ
რეგიონული კონვენციის ხელშემკვერელ მხარეებს შორის სურვილისამებრ
გამოყენების წესები, კონვენციაში შესწორების შეტანის დასრულებამდე და ძალაში
შესვლამდე

(“წესები“ ან „გარდამავალი წესები“)

*„წარმოშობის სტატუსის მქონე საქონლის“ ცნების განსაზღვრა და
ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდები*

სარჩევი

მიზნები

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1 განმარტებები

თავი II „საქონლის წარმოშობის“ ცნების განმარტება

მუხლი 2 ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 3 მთლიანად წარმოშობილი პროდუქცია

მუხლი 4 საკმარისი დამუშავება ან გადამუშავება

- მუხლი 5 ტოლერანტობის წესი
- მუხლი 6 არასაკმარისი დამუშავება ან გადამუშავება
- მუხლი 7 წარმოშობის კუმულაცია
- მუხლი 8 წარმოშობის კუმულაციის გამოყენების პირობები
- მუხლი 9 შეფასების ერთეული
- მუხლი 10 კომპლექტები
- მუხლი 11 ნეიტრალური ელემენტები
- მუხლი 12 აღრიცხვის სეგრეგაცია
- თავი III ტერიტორიული მოთხოვნები
- მუხლი 13 ტერიტორიულობის პრინციპი
- მუხლი 14 ცვლილების არარსებობა
- მუხლი 15 გამოფენები
- თავი IV დაბრუნება ან გადასახადისგან გათავისუფლება
- მუხლი 16 საბაჟო გადასახადის დაბრუნება ან მისგან გათავისუფლება

თავი V წარმოშობის დადასტურება

მუხლი 17 ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 18 წარმოშობის დეკლარაციის შედგენის პირობები

მუხლი 19 უფლებამოსილი ექსპორტიორი

მუხლი 20 EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გაცემის პროცედურა

მუხლი 21 რეტროსპექტულად გაცემული EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი

მუხლი 22 EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა

მუხლი 23 წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადა

მუხლი 24 თავისუფალი ზონები

მუხლი 25 იმპორტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

მუხლი 26 იმპორტირება პარტიებად

მუხლი 27 წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლება

მუხლი 28 შეუსაბამობები და მექანიკური შეცდომები

მუხლი 29 მომწოდებლის დეკლარაციები

მუხლი 30 ევროშ გამოხატული თანხები

თავი VI თანამშრომლობის პრინციპები და დოკუმენტური მტკიცებულებები

მუხლი 31 დოკუმენტური მტკიცებულებები, წარმოშობის მტკიცებულებების და თანმხლები დოკუმენტების შენახვა

მუხლი 32 დავების მოგვარება

თავი VII ადმინისტრაციული თანამშრომლობა

მუხლი 33 შეტყობინება და თანამშრომლობა

მუხლი 34 წარმოშობის მტკიცებულებების შემოწმება

მუხლი 35 მომწოდებლის დეკლარაციების შემოწმება

მუხლი 36 ჯარიმები

თავი VIII დანართი A-ს გამოყენება

Article 37 ევროპული ეკონომიკური სივრცე

მუხლი 38 ლიხტენშტაინი

მუხლი 39 სან მარინოს

რესპუბლიკა

მუხლი 40 ანდორას სამთავრო

მუხლი 41 სეუტა და მელილა

დანართების ჩამონათვალი

დანართი I: გაცნობითი ხასიათის შენიშვნები II დანართში მოცემული ნუსხის მიმართ

დანართი II: დამუშავების ან გადამუშავების ჩამონათვალი, რომელიც უნდა განხორციელდეს წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალებზე, რათა წარმოებულმა პროდუქტმა მიიღოს წარმოშობის სტატუსი

დანართი III: წარმოშობის დეკლარაციის ტექსტი

დანართი IV: EUR. 1 გადაადგილების სერტიფიკატის ნიმუშები და EUR. 1 გადაადგილების სერტიფიკატის გამოყენება

დანართი V: სეუტასა და მელილაში წარმოშობილი საქონლის შესახებ მოქმედი განსაკუთრებული პირობები

დანართი VI: მომწოდებლის დეკლარაცია

დანართი VII: მომწოდებლის გრძელვადიანი დეკლარაცია

მიზნები

წინამდებარე წესები არჩევითი ხასიათისაა. ისინი განკუთვნილია დროებითი გამოყენებისთვის მანამ, სანამ არ დასრულდება და ძალაში არ შევა პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის წარმოშობის პრეფერენციული წესების შესახებ რეგიონული კონვენციის ("PEM კონვენცია" ან "კონვენცია") შესწორება. ეს წესები ორმხრივად გამოიყენება იმ ხელშემკვრელ მხარეებს შორის ვაჭრობისთვის, რომლებიც თანხმდებიან მიუთითონ მათზე ან შეიტანონ ისინი ორმხრივ შეღავათიან სავაჭრო ხელშეკრულებებში. წინამდებარე წესები გამიზნულია წარმოადგენდეს კონვენციის წესების ალტერნატივას, რომლებიც, როგორც ამას კონვენცია ითვალისწინებს, არ ეწინააღმდეგება შესაბამის შეთანხმებებში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და არც ხელშემკვრელ მხარეებს შორის დადებულ სხვა დაკავშირებულ ორმხრივ შეთანხმებებს.

შესაბამისად, ეს წესები არ იქნება სავალდებულო, არამედ არჩევითი. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკური ოპერატორების მიერ, რომელთაც სურთ მოიპოვონ პრეფერენციები ამ წესების საფუძველზე, კონვენციის წესების ნაცვლად.

ეს წესები არ არის გამიზნული კონვენციის შეცვლისთვის. კონვენცია განაგრძობს სრულად ფუნქციონირებას კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს შორის. ეს წესები არ შეცვლის კონვენციით გათვალისწინებული ხელშემკვრელი მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს.

თავი I - ზოგადი დებულებები

მუხლი 1

განმარტებები

ამ წესების მიზნებისთვის:

- (ა) გავრცელების ხელშემკვრელი მხარე ნიშნავს პან-ევრო ხმელთაშუა ზღვის კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ამ წესებს რთავს ორმხრივ შეღავათიანი ვაჭრობის შეთანხმებაში, პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის კონვენციის მეორე ხელშემკვრელ მხარესთან და არის ამ შეთანხმების მხარეები;
- (ბ) "თავები", "სათაურები" და "ქვესათაურები" ნიშნავს თავებს, სათაურებსა და ქვესათაურებს (ოთხნიშნა ან ექვსნიშნა კოდები), გამოყენებულს იმ ნომენკლატურაში, რომელიც შეადგენს საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემას ("ჰარმონიზებული სისტემა"), საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს 2004 წლის 26 ივნისის რეკომენდაციის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებებით;
- (გ) "კლასიფიცირებული" ნიშნავს საქონლის კლასიფიკაციას ჰარმონიზებული სისტემის კონკრეტული სათაურით ან ქვესათაურით;

(დ) „პარტია“ ნიშნავს პროდუქციას, რომელიც:

(i) ერთდროულად იგზავნება ერთი ექსპორტიორის მიერ პარტიის ერთ მიმღებთან; ან

(ii) მოქცეულია ერთ სატრანსპორტო დოკუმენტაციაში, რომელიც ეხება მათ ტრანსპორტირებას ექსპორტიორისგან პარტიის მიღებამდე, ხოლო ამგვარი დოკუმენტის არ არსებობის შემთხვევაში - ერთ ანგარიშფაქტურაში;

(ე) “მხარის საბაჟო ორგანოები ან მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე” ევროკავშირისთვის ნიშნავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ნებისმიერ საბაჟო ორგანოს;

(ვ) "საბაჟო ღირებულება" ნიშნავს ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება 1994 წელს ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების VII მუხლის (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შესახებ) შესრულების შესახებ შეთანხმების შესაბამისად;

(ზ) “ფრანკო-ქარხნის ფასი” ნიშნავს პროდუქტზე ქარხნის ფასს, გადახდილს მწარმოებლისთვის იმ სახელმწიფოში, რომლის პასუხისმგებლობითაც ხდება პროდუქციის საბოლოო დამუშავება ან გადამუშავება, იმ პირობით, რომ ფასი მოიცავს ყველა გამოყენებული მასალის ღირებულებას, გარდა ნებისმიერი სახის შიდა გადასახადებისა, რაც ანაზღაურებული იქნება, ან შეიძლება ანაზღაურდეს მიღებული პროდუქციის ექსპორტირების შემდეგ. როდესაც საბოლოო დამუშავება ან გადამუშავება ხდება მწარმოებლის ქვეკონტრაქტორებით, ტერმინი ”მწარმოებელი” ნიშნავს საწარმოს, რომელმაც დაიქირავა ქვეკონტრაქტორი.

როდესაც გადახდილი მიმდინარე ღირებულება არ მოიცავს პროდუქტის წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, რომელიც რეალურად წარმოიშობა მხარეში, ფრანკო-ქარხნის ფასი ნიშნავს ყველა იმ ხარჯის ჯამს, ნებისმიერი შიდა გადასახადის გამოკლებით, რომელიც ანაზღაურდება ან შეიძლება ანაზღაურდეს, როდესაც მიღებული პროდუქტის ექსპორტი განხორციელდება;

(თ) 'ურთიერთშემცველი მასალა' ან 'ურთიერთშემცველი პროდუქტი' ნიშნავს მასალას ან პროდუქტს, რომელიც არის იმავე სახეობისა და კომერციული ხარისხის მქონე, იგივე ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლებით, და რომელთა ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელია;

(ი) 'საქონელი' ნიშნავს როგორც მასალას, ასევე პროდუქტს;

(კ) „წარმოება“ ნიშნავს ნებისმიერი სახის დამუშავებას ან გადამუშავებას, მათ შორის აწყობას;

(ლ) „მასალა“ ნიშნავს ნებისმიერ ინგრედიენტს, ნედლ მასალას, კომპონენტს, ნაწილს და ა.შ., რომელიც გამოიყენება პროდუქტის წარმოებაში;

(მ) არაადგილობრივი მასალების მაქსიმალური შემცველობა ნიშნავს არაადგილობრივი მასალების მაქსიმალურ ნებადართულ შემცველობას დასამუშავებელ ან გადამამუშავებელ ნაწარმში, რათა საკმარისი იყოს მისთვის ადგილობრივი პროდუქტის სტატუსის მისანიჭებლად. ეს შეიძლება გამოიხატოს პროდუქტის ფრანკო-ქარხნის ფასის პროცენტის ან ამ გამოყენებული მასალების სუფთა წონის პროცენტის სახით, რომელიც მოქცეულია თავების, თავის, სათაურის ან ქვესათაურის მითითებული ჯგუფის ქვეშ;

(ნ) "პროდუქტი" ნიშნავს წარმოებულ პროდუქტს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი გამოყენება მოგვიანებით განზრახულია სხვა საწარმოო ოპერაციაში;

(ო) "ტერიტორია" მოიცავს მხარის სახმელეთო ტერიტორიას, შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვას;

(პ) "დამატებითი ღირებულება" უნდა განისაზღვროს როგორც პროდუქტის ფრანკო-ქარხნის ფასი იმ გამოყენებული მასალების საბაჟო ღირებულების გამოკლებით, რომელიც მიეკუთვნება სხვა მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეებს, რომლებთანაც მოქმედებს კუმულაცია, ან თუ უცნობია საბაჟო ღირებულება და ვერ ხერხდება მისი დადგენა, ამ შემთხვევაში განისაზღვრება ექსპორტიორ მხარეში მასალისთვის გადახდილი პირველი დადგენილი ღირებულების მიხედვით;

(ჟ) „მასალების ღირებულება“ ნიშნავს წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალის იმპორტის დროს მის საბაჟო ღირებულებას, ან, თუ იგი უცნობია და ვერ ხერხდება დადგენა, მაშინ იგულისხმება ექსპორტიორ მხარეში მასალებისთვის გადახდილი პირველი დადასტურებადი ფასი. როდესაც გამოყენებული ადგილობრივი მასალების ღირებულება დასადგენია, გამოიყენება *mutatis mutandis*.

თავი II - „საქონლის წარმოშობის“ ცნების განსაზღვრა

მუხლი 2

ზოგადი მოთხოვნები

ამ შეთანხმების განხორციელების მიზნით, ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტები უნდა ჩაითვალოს ერთი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილად მისი ექსპორტისას მეორე მხარეში:

- (ა) პროდუქცია, რომელიც მთლიანად წარმოშობილია მხარეში მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში;
- (ბ) ერთ-ერთი მხარის მიერ წარმოებული პროდუქცია ისეთი მასალებით, რომელიც არ არის მთლიანად წარმოშობილი ამ ტერიტორიაზე, იმ პირობით, რომ ამგვარმა მასალებმა განიცადეს საკმარისი დამუშავება-გადამუშავება აღნიშნულ ტერიტორიაზე მე-4 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.

მუხლი 3

მთლიანად წარმოშობილი პროდუქცია

1. ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტები ჩაითვლება მთლიანად ერთი მხარის მიერ წარმოებულად სხვა მხარეში ექსპორტის დროს:

- (ა) ამ ქვეყნის ნიადაგიდან ან ზღვის ფსკერიდან ამოღებული მინერალური პროდუქტები და ბუნებრივი წყალი;

(ბ) იქ მოყვანილი მცენარეული პროდუქტები, მათ შორის წყლის მცენარეები და ბოსტნეული;

(გ) იქ დაზადებული და გაზრდილი ცოცხალი ცხოველები;

(დ) იქ გაზრდილი ცოცხალი ცხოველებისაგან წარმოებული პროდუქცია;

(ე) იქ დაზადებული და გაზრდილი დაკლული ცხოველებისგან წარმოებული პროდუქცია;

(ვ) იქ განხორციელებული ნადირობითა თუ თევზჭერით მიღებული პროდუქცია;

(ზ) აკვაკულტურის პროდუქტები, სადაც თევზები, კიბოსნაირნი, მოლუსკები და სხვა წყლის უხერხემლოები იზადებიან ან იზრდებიან, წარმოშობილი კვერცხისგან, ლიფსიტებისგან, წვრილი თევზებისგან ან ახალგაზრდა ორაგულისგან;

(თ) ზღვაში თევზჭერით მიღებული ან ზღვიდან მიღებული სხვაგვარი პროდუქცია მისი მცურავი საშუალებების დახმარებით ტერიტორიული წყლების საზღვრებს გარეთ;

(ი) მათ მცურავ თევზსარეწში წარმოებული პროდუქცია, რომელიც მიღებულია მხოლოდ (თ) ქვეპუნქტში მოხსენიებული პროდუქტებიდან;

(კ) იქ მოპოვებული მეორადი საგნები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ნედლეულის აღსადგენად;

(ლ) ნარჩენები და ჯართი, რომელიც წარმოიშობა იქ განხორციელებული საწარმოო ოპერაციების შედეგად;

(მ) ტერიტორიული წყლების გარეთ ზღვის ნიადაგიდან ან ქვენიადაგიდან ამოღებული პროდუქცია იმ პირობით, რომ მათ აქვთ აღნიშნული ნიადაგის ან ქვენიადაგის დამუშავების ექსკლუზიური უფლება;

(ნ) იქ წარმოებული საქონელი, რომელიც შექმნილია მხოლოდ “ა-მ” ქვეპუნქტებში დადგენილი პროდუქციისგან;

2. ტერმინები “მისი მცურავი საშუალებები” და “მისი მცურავი თევზსარეწი“, მოცემული პირველი პუნქტის (თ) და (ზ) ქვეპუნქტებში, ეხება მხოლოდ იმ მცურავ საშუალებებსა და მცურავ თევზსარეწებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

(ა) რეგისტრირებულია ექსპორტიორ ან იმპორტიორ მხარეში;

(ბ) დაცურავენ ექსპორტიორი ან იმპორტიორი მხარის დროშის ქვეშ;

(გ) აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

(i) მათ სულ მცირე 50%-ს ფლობს ექსპორტიორი ან იმპორტიორი მხარის მოქალაქეები; ან

(ii) მათ ფლობს კომპანიები:

– რომელთაც აქვთ თავიანთი სათავო ოფისი და მთავარი ბიზნესსაქმიანობის ადგილი ექსპორტიორ ან იმპორტიორ მხარეში; და

– რომელთა სულ მცირე 50%-ს ფლობს ექსპორტიორი ან იმპორტიორი მხარე, ან საჯარო უწყებები, ან ამ მხარეების მოქალაქეები.

3. მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, როდესაც ექსპორტიორი ან იმპორტიორი მხარე არის ევროკავშირი, ეს გულისხმობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს.

4. მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, EFTA სახელმწიფოები მიჩნეული უნდა იყოს მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარედ.

მუხლი 4

საკმარისად დამუშავებული-გადამუშავებული პროდუქცია

1. ამ მუხლის მესამე პუნქტისა და მე-6 მუხლის შეუზღუდავად, პროდუქცია, რომელიც არ არის ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი, ჩაითვლება საკმარისად დამუშავებულად-გადამუშავებულად, თუ დაკმაყოფილებულია II დანართში საქონელთან დაკავშირებით ჩამოთვლილი პირობები.

2. თუ პროდუქცია, რომელმაც მიიღო წარმოშობის სტატუსი ქვეყანაში, 1-ელი პუნქტის შესაბამისად, გამოიყენება როგორც მასალა სხვა პროდუქციის წარმოებისთვის, ყურადღება არ უნდა მიექცეს იმ წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მის წარმოებაში.

3. განსაზღვრა იმისა, დაკმაყოფილებულია თუ არა 1-ელი პუნქტის მოთხოვნები, ხორციელდება თითოეული პროდუქტისთვის.

თუმცა, თუ შესაბამისი წესი ემყარება წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების მაქსიმალურ შემცველობასთან შესაბამისობას, მხარეთა საბაჟო ორგანოებმა შესაძლებელია ექსპორტიორებს ნება დართონ გამოთვალონ საქონლის ფრანკო-ქარხნის ფასი და წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების საშუალო ღირებულება, როგორც ეს მოცემულია მე-4 პუნქტში, რათა გათვალისწინებული იყოს ფასებისა და ვალუტის კურსის მერყეობის საკითხი.

4. მე-3 პუნქტის მეორე ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, პროდუქტის საშუალო ფრანკო-ქარხნის ფასი და წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების საშუალო ღირებულება უნდა გამოითვალოს შესაბამისად ფრანკო-ქარხნის ფასების ჯამის საფუძველზე, რომლებიც გადახდილია წინა ფისკალური წლის განმავლობაში იმავე პროდუქტის გასაღების ყველა შემთხვევის გათვალისწინებით და ექსპორტიორი მხარის მიერ განსაზღვრული წინა ფისკალური წლის განმავლობაში იმავე პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული ყველა წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალის ღირებულების ჯამის ჩათვლით, ან, თუ არ არსებობს სრული ფისკალური წლის მონაცემები, მაშინ გამოითვლება უფრო მოკლე დროით, რომელიც არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები.

5. ექსპორტიორები, რომლებმაც საშუალო გაანგარიშება აირჩიეს, თანმიმდევრულად გამოიყენებენ ასეთ მეთოდს საანგარიშგებო ფისკალური წლის მომდევნო წლის განმავლობაში, ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის შემდეგ, რომელიც გამოყენებულია მითითებად. მათ შეიძლება შეწყვიტონ ასეთი მეთოდის გამოყენება, როდესაც მოცემული ფისკალური წლის განმავლობაში, ან უფრო მოკლე წარმომადგენლობითი პერიოდის განმავლობაში, არანაკლებ სამი თვისა, ისინი აღნიშნავენ, რომ შეჩერებულია ხარჯების ან ვალუტის კურსის რყევები, რომლებიც ამართლებდა ამ მეთოდის გამოყენებას.

6. მე-4 პუნქტში მითითებული საშუალო გამოყენებული უნდა იქნას, როგორც ფრანკო-ქარხნის ფასი და წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების ღირებულება, წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების მაქსიმალურ შინაარსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მუხლი 5

ტოლერანტობის წესი

1. მე-4 მუხლის ნაწილობრივი გაუქმების და ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალები, რომლებიც II დანართის ჩამონათვალში მითითებული პირობების შესაბამისად, არ უნდა იქნას გამოყენებული მოცემული პროდუქტის წარმოებაში, ამის მიუხედავად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, იმ პირობით, რომ მათი საერთო სუფთა წონა ან პროდუქტის სავარაუდო ღირებულება არ აჭარბებს:

(ა) პროდუქტის სუფთა წონის 15%-ს, რომელიც განეკუთვნება მე-2 და მე-4-დან 24-მდე თავებს, გარდა მე-16 თავში დასახელებული გადამუშავებული თევზპროდუქტებისა;

(ბ) პროდუქტის ფრანკო-ქარხნის ფასის 15%-ს, გარდა (ა) პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტებისა.

ეს პუნქტი არ ვრცელდება ჰარმონიზებული სისტემის 50-63-ე თავებში მოქცეულ პროდუქტებზე, რომელთა მიმართაც გამოიყენება I დანართის მე-6 და მე-7 შენიშვნებში აღნიშნული დასაშვები ცდომილება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით დაუშვებელია წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების მაქსიმალური შემცველობის პროცენტობის გადაჭარბება, როგორც ეს განსაზღვრულია II დანართის ჩამონათვალში მითითებულ წესებში.

3. ამ მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები არ ვრცელდება პროდუქტებზე, რომლებიც მთლიანად მიიღება მხარეში მე-3 მუხლის მიხედვით. ამასთან, მე-6 და მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტის შეუზღუდავად, ამ დებულებებით გათვალისწინებული დასაშვები ცოდნომილება მაინც გამოიყენება პროდუქტების მიმართ, რისთვისაც II დანართის ჩამონათვალში მოცემული წესის თანახმად, მასალები, რომლებიც გამოიყენება ამ პროდუქტის წარმოებაში, მთლიანად უნდა იყოს შეძენილი.

მუხლი 6

არასაკმარისი დამუშავება ან გადამუშავება

1. ამ მუხლის მე-2 პუნქტის დაურღვევლად, შემდეგი ოპერაციები ჩაითვლება არასაკმარისი დამუშავებად წარმოშობის მქონე პროდუქციისთვის სტატუსის მინიჭების თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, შესრულებულია თუ არა მე-4 მუხლის მოთხოვნები:

(ა) კონსერვირების ოპერაციები პროდუქციის ვარგისიანობის შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს;

(ბ) ფუთების დაშლა და აწყობა;

(გ) რეცხვა, წმენდა; მტვრის, მჟავის, ზეთის, საღებავის ან სხვა სახის

საფარების მოცილება;

(დ) ქსოვილის დაუთავება ან დაპრესვა;

(ე) ღებვისა და გაპრიალების მარტივი ოპერაციები;

(ვ) ბრინჯის გასუფთავება და ნაწილობრივი ან სრული დაფქვა; გაპრიალება და მომინანქრება (შოკოლადით დაფარვა) მარცვლეულისა და ბრინჯის;

(ზ) შაქრის ღებვის ან არომატიზაციის ან შაქრის ნატეხების დამზადების ოპერაციები; შაქრის კრისტალების ნაწილობრივი ან სრული დაფქვა;

(თ) ხილის, თხილის და ბოსტნეულის თლა, კურკის გამოცლა და ნაჭუჭის მოცილება;

(ი) თლა, მარტივი ფქვა ან მარტივი ჭრა;

(კ) ცრა, გაცხრილვა, გადარჩევა, კლასიფიცირება, დაჯგუფება, მისადაგება; (ნაკეთობათა კომპლექტების შედგენის ჩათვლით);

(ლ) მარტივი მოთავსება ბოთლებში, თუნუქის ქილებში, კოლბებში, ჩანთებში, ჩემოდნებში, ყუთებში, დამაგრება ბარათებზე ან დაფებზე და შეფუთვის სხვა მარტივი ოპერაციები;

(მ) შტამპების, იარლიყების, ლოგოების და სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიმაგრება ან ბეჭდვა პროდუქციაზე ან მათ შეფუთვაზე;

(ნ) პროდუქციის მარტივი შერევა, მიუხედავად იმისა არის ეს სხვადასხვა ტიპის თუ არა;

(ო) შაქრის შერევა ნებისმიერ მასალებთან;

(პ) წყლის მარტივი დამატება ან პროდუქტების განზავება ან გაუწყლოება ან დენატურაცია;

(ჟ) სრული ნაკეთობის შემადგენელი ნაწილებისგან აწყობა ან პროდუქციის დაშლა ნაწილებად;

(რ) ცხოველების დაკვლა;

(ს) (ა)-(რ) ქვეპუნქტებში მოცემული ორი ან მეტი ოპერაციის კომბინირება;

2. ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე მოცემულ პროდუქციასთან მიმართებაში ჩატარებული ყველა ოპერაცია განიხილება ერთად დამუშავება-გადამუშავების საკმარისობის დადგენის საკითხის დაყენებისას პირველი პუნქტის მიხედვით.

მუხლი 7

წარმოშობის კუმულაცია

1. მე-2 მუხლის დებულებების დაურღვევლად, პროდუქცია ჩაითვლება ექსპორტიორ მხარეში წარმოშობილად სხვა ქვეყანაში გატანისას, თუ მათი წარმოება მოხდა ამ ტერიტორიაზე, და გამოყენებულია მასალები, რომლებიც წარმოშობილია მოთხოვნის წარმდგენი ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ექსპორტიორი მხარის გარდა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე განხორციელებული დამუშავება-გადამუშავების ოპერაციები აღემატება მე-6 მუხლით გათვალისწინებულს. აუცილებელი არ არის, რომ ასეთი მასალა იყოს საკმარისად დამუშავებული-გადამუშავებული.

2. როდესაც ექსპორტიორ მხარეში განხორციელებული დამუშავება-გადამუშავება არ აღემატება მე-6 მუხლით გაწერილ ოპერაციებს, ნებისმიერ სხვა მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი მასალების გამოყენებით მიღებული პროდუქტი ჩაითვლება ექსპორტიორ მხარეში წარმოშობილ პროდუქტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შექმნილი დამატებითი ღირებულება აღემატება იმ გამოყენებული მასალების ღირებულებას, რომლებიც წარმოშობილია ნებისმიერი სხვა მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე. თუ ეს ასე არ არის, წარმოებული პროდუქტი ჩაითვლება იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილად, რომელ მათგანზეც მოდის ექსპორტიორ მხარეში პროდუქციის წარმოებისას გამოყენებული მასალების უმეტესი ღირებულება.

3. მე-2 მუხლის დაურღვევლად, და 50-63-ე თავებით გათვალისწინებული პროდუქტის გამოკლებით, ექსპორტიორი მხარის გარდა მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეში განხორციელებული დამუშავება-გადამუშავების ოპერაციები ჩაითვლება ექსპორტიორ მხარეში განხორციელებულად, როდესაც წარმოებული პროდუქტები განიცდიან შემდგომ დამუშავებას ან გადამუშავებას ამ ექსპორტიორ მხარეში.

4. მე-2 მუხლის დაურღვევლად, 50-63-ე თავებით გათვალისწინებული პროდუქტისთვის და მხოლოდ ორმხრივი ვაჭრობის მიზნებისთვის მხარეებს შორის, იმპორტიორ მხარეში განხორციელებული დამუშავება ან გადამუშავება ჩაითვლება ექსპორტიორ მხარეში განხორციელებულად, როდესაც პროდუქტი გაივლის შემდგომ დამუშავებას ან გადამუშავებას ამ ექსპორტიორ მხარეში.

ამ პუნქტის მიზნებისათვის, ევროკავშირის სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესის მონაწილეები და მოლდოვას რესპუბლიკა განიხილება, როგორც ერთი მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე.

5. მხარეებს შეუძლიათ გააფართოონ ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების მასშტაბი და იგი ვრცელდებოდეს ცალმხრივად 50-63-ე თავების პროდუქტების იმპორტზე. მხარე, რომელიც ირჩევს ასეთ გაფართოებას, ატყობინებს მეორე მხარეს და აცნობებს ევროკომისიას მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

6. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კუმულაციის მიზნებისთვის, წარმოშობის სტატუსის მქონე პროდუქტი მიიჩნევა წარმოშობის სტატუსის მქონედ ექსპორტიორ მხარეში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იქ ჩატარებული დამუშავება ან გადამუშავება აღემატება მე-6 მუხლით მითითებულ ოპერაციებს.

7. პირველ პუნქტში მითითებული ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარეების ტერიტორიაზე წარმოშობილი პროდუქცია, რომელიც არ არის დამუშავებული ან გადამამუშავებული ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე ინარჩუნებს წარმოშობას, როდესაც ხდება მისი ექსპორტი ერთ-ერთი სხვა მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეში.

მუხლი 8

პირობები წარმოშობის კუმულაციის გამოყენებისთვის

1. მე-7 მუხლით გათვალისწინებული კუმულაცია, გამოიყენება იმ პირობით რომ:

(ა) წარმოშობის სტატუსის მიღების პროცესში ჩართულ ხელშემკვრელ მხარეებსა და დანიშნულების ხელშემკვრელ მხარეს შორის მოქმედებს 1994 წლის გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT) XXIV მუხლის მოთხოვნების თანახმად გაფორმებული შეთანხმება შეღავათიანი ვაჭრობის შესახებ; და

(ბ) საქონელმა მოიპოვა წარმოშობის სტატუსი წარმოშობის შესახებ წინამდებარე წესების იდენტური წესების გამოყენებით.

2. ცნობები, რომლებიც მიუთითებს კუმულაციის გამოყენების აუცილებელი მოთხოვნების შესრულებაზე, უნდა გამოქვეყნდეს *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* (C სერია) და საქართველოს ოფიციალურ გამოცემაში, იქაური პროცედურების შესაბამისად.

მე-7 მუხლით გათვალისწინებული კუმულაცია გამოიყენება ამ ცნობებში მითითებული თარიღიდან.

მხარეები ევროკომისიას გადასცემენ სხვა მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეებთან დადებული შესაბამისი შეთანხმებების დეტალებს, მათ შორის ამ წესების ძალაში შესვლის თარიღებს.

3. წარმოშობის დამადასტურებელ საბუთში უნდა იყოს განცხადება მითითებული ინგლისურ ენაზე "CUMULATION APPLIED WITH (შესაბამისი მოქმედი ხელშემკვრელი მხარის / მხარეების დასახელება ინგლისურ ენაზე)", როდესაც პროდუქტმა მიიღო წარმოშობის სტატუსი წარმოშობის კუმულაციის გამოყენებით მე-7 მუხლის შესაბამისად.

იმ შემთხვევებში, როდესაც გადაადგილების მოწმობა EUR.1 გამოიყენება წარმოშობის დამადასტურებელ საბუთად, ეს განცხადება უნდა გაკეთდეს EUR.1 გადაადგილების მოწმობის მე-7 გრაფაში.

4. მხარეებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომ მათთვის ექსპორტირებული პროდუქტების შემთხვევაში, რომლებმაც, მე-7 მუხლის შესაბამისად, ექსპორტიორ მხარეში წარმოშობის სტატუსი მიიღეს წარმოშობის კუმულაციის გამოყენებით, უარი თქვან წარმოშობის მტკიცებულებაზე ამავე მუხლის¹ მე-3 პუნქტში მოცემული განცხადების მითითების ვალდებულების შესრულებაზე.

მხარეებმა უნდა შეატყობინონ ევროკომისიას უარის თქმის შესახებ, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

¹ მხარეები თანხმდებიან უარი თქვან წარმოშობის დამადასტურებელ საბუთში მე -8 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული განცხადების შეტანის ვალდებულებაზე.

მუხლი 9

შეფასების ერთეული

1. წინამდებარე წესებს მოქმედებისთვის შეფასების ერთეული იქნება გარკვეული პროდუქცია, რომელიც კლასიფიცირების განსაზღვრისას ჩაითვლება ძირითად ერთეულად ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურის გამოყენებით. რაც ნიშნავს, რომ:

(ა) როცა ნაკეთობათა ჯგუფისგან შემდგარი პროდუქცია ფასდება ჰარმონიზებული სისტემის პირობების მიხედვით ერთი სათაურის ქვეშ, მთლიანი პროდუქცია წარმოადგენს შეფასების ერთეულს;

(ბ) როცა პარტია შედგება ჰარმონიზებული სისტემის იმავე ჯგუფის ქვეშ კლასიფიცირებული მთელი რიგი იდენტური პროდუქციისგან, თითოეული პროდუქცია აღებული უნდა იქნეს ინდივიდუალურად წინამდებარე წესების გამოყენებისას.

2. როდესაც, ჰარმონიზებული სისტემის ზოგადი მე-5 წესის მიხედვით, პროდუქცია მოიცავს შეფუთვას კლასიფიცირების მიზნებისთვის, იგი ასევე ჩართული უნდა იქნეს წარმოშობის განსაზღვრის მიზნებისთვისაც.

3. ერთ მოწყობილობასთან, დანადგართან, აპარატთან ან სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად გამოგზავნილი აქსესუარები, სათადარიგო ნაწილები და ხელსაწყოები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვეულებრივი მოწყობილობის ნაწილს და შეტანილია მის ფრანკო-ქარხნის ფასში, განიხილება ამგვარ მოწყობილობასთან, დანადგართან, აპარატსა და სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად.

მუხლი 10

კომპლექტები

კომპლექტები, როგორც ეს განსაზღვრულია ჰარმონიზებული სისტემის ზოგად მე-3 წესში, განიხილება წარმოშობის მქონედ, თუ წარმოშობის მქონეა მისი ყველა კომპონენტი.

მიუხედავად ამისა, როდესაც კომპლექტი შედგება წარმოშობის მქონე და წარმოშობის სტატუსის არმქონე პროდუქტებისგან, მთლიანი კომპლექტი განიხილება როგორც წარმოშობის მქონე იმ პირობით, თუ წარმოშობის სტატუსის არმქონე პროდუქტების ღირებულება არ აღემატება კომპლექტის ფრანკო-ქარხნის ფასის 15%-ს.

მუხლი 11

ნეიტრალური ელემენტები

პროდუქტის წარმოშობის განსაზღვრის მიზნებისთვის, არც ერთი საჭიროებს წარმოშობის დადგენას ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი წარმოებისას:

(ა) ელექტროენერგია და საწვავი;

(ბ) ქარხანა და

მოწყობილობები;

(გ) მანქანა-

დანადგარები და იარაღები;

(დ) საქონელი, რომელიც არ შედის და არც შევა პროდუქციის საბოლოო შემადგენლობაში.

მუხლი 12

აღრიცხვის სეგრეგაცია

1. თუ წარმოშობის სტატუსის მქონე და ამავე სტატუსის არმქონე ურთიერთშემცვლელი მასალები გამოიყენება პროდუქტის დამუშავების ან გადამუშავების პროცესში, ეკონომიკურ ოპერატორებს შეუძლიათ უზრუნველყონ მასალების მართვა სააღრიცხვო სეგრეგაციის მეთოდის გამოყენებით, მასალების ცალკეულ მარაგებში განთავსების გარეშე.

2. ეკონომიკურ ოპერატორებს შეუძლიათ უზრუნველყონ ჯგუფ 1701-ში შემავალი წარმოშობის სტატუსის მქონე და წარმოშობის სტატუსის არმქონე ურთიერთშემცვლელი პროდუქტების მართვა სააღრიცხვო სეგრეგაციის მეთოდის გამოყენებით, პროდუქტები სხვადასხვა მარაგში განთავსების გარეშე.

3. მხარეებმა შეიძლება მოითხოვონ, რომ საბუღალტრო სეგრეგაციის გამოყენება ექვემდებარებოდეს საბაჟო ორგანოების მიერ წინასწარ ავტორიზაციას. საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ მიანიჭონ უფლებამოსილება, თუ მათთვის ყველა პირობა იქნება სათანადოდ დაკმაყოფილებული და ასევე შეუძლიათ აკონტროლონ ავტორიზაციით სარგებლობის პროცესი. საბაჟო უწყებას შეუძლია შეაჩეროს მისი მოქმედება ნებისმიერ დროს, როცა იგი ჩათვლის, რომ მიმღები არასათანადოდ იყენებს მინიჭებულ უფლებას, როგორი ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს ეს, ან არ ასრულებს წინამდებარე წესებით განსაზღვრულ რომელიმე სხვა პირობას.

სააღრიცხვო სეგრეგაციის მეთოდმა უნდა უზრუნველყოს, რომ, ნებისმიერ დროს, ისეთი მიღებული პროდუქციის რაოდენობა, რომლის განხილვაც შეიძლება "წარმოშობის მქონე პროდუქციად ექსპორტიორ მხარეში", არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა მარაგების ფიზიკური სეგრეგაციის შემთხვევაში.

აღნიშნული მეთოდის გამოყენება მოხდება და ჩაიწერება იმ ზოგადი საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპების საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება პროდუქციის მწარმოებელ ქვეყანაში.

4. პირველი და მე-2 პუნქტით განსაზღვრული მეთოდით დახმარების მიმღებს შეუძლია გასცეს ან მოითხოვოს წარმოშობის სერტიფიკატი, რომელიც საჭირო იქნება, პროდუქციის იმ რაოდენობისთვის, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს წარმოშობის მქონედ მწარმოებელ ქვეყანაში. საბაჟო უწყების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმღებმა უნდა წარადგინოს ანგარიში რაოდენობათა მართვის შესახებ.

თავი III ტერიტორიული მოთხოვნები

მუხლი 13

ტერიტორიულობის პრინციპები

1. II თავში მოცემული პირობები უწყვეტად უნდა სრულდებოდეს იმ მხარის მიერ, რომელსაც ეს ეხება.

2. თუ ერთი მხარიდან ბრუნდება სხვა ქვეყანაში ექსპორტირებული წარმოშობის მქონე საქონელი, ის უნდა ჩაითვალოს, როგორც წარმოშობის სტატუსის არმქონე, თუ საბაჟო უწყებებისთვის არ იქნება დამტკიცებული, რომ:

(ა) დაბრუნებულია იგივე საქონელი, რომელიც იქნა ექსპორტირებული; და

(ბ) დაბრუნებულ საქონელზე არ განხორციელებულა სხვა რაიმე ოპერაცია, გარდა იმისა, რომელიც საჭირო იყო მისი ვარგისიანობის შენარჩუნებისთვის იმ ქვეყანაში ყოფნისას ან ექსპორტირებისას.

3. II თავში მოცემული პირობების მიხედვით, წარმოშობის სტატუსის მოპოვებაზე არ იმოქმედებს ამ სახელმწიფოს ტერიტორიიდან ექსპორტირებულ და, შესაბამისად, რეიმპორტირებულ მასალებზე, ექსპორტიორი მხარის გარეთ განხორციელებული დამუშავება-გადამუშავება, თუ:

(ა) ზემოხსენებული მასალები მთლიანად წარმოშობილია ექსპორტიორ მხარეში ან ექსპორტირებამდე გაიარეს დამუშავება-გადამუშავების ოპერაციები, რომლებიც აღემატება მე-7 მუხლში ჩამოთვლილ ოპერაციებს;

(ბ) საბაჟოსთვის იქნება დამტკიცებული, რომ:

- (i) რეიმპორტირებული საქონელი მიღებულია ექსპორტირებული მასალის დამუშავება-გადამუშავებით; და
- (ii) წინამდებარე მუხლის დებულებების საფუძველზე, ექსპორტიორი მხარის ფარგლებს გარეთ მიღებული მთლიანი დამატებითი ღირებულება არ აღემატება იმ საბოლოო პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის 10%-ს, რომლის წარმოშობის სტატუსიც სადავოა.

4. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის, II თავში მოცემული წარმოშობის სტატუსის მოპოვების პირობები არ შეეხება დამუშავება-გადამუშავებას ექსპორტიორი მხარის საზღვრებს გარეთ. თუმცა, სადაც II დანართის ჩამონათვალში გამოყენებული წარმოშობის სტატუსის არმქონე ყველა მასალის მაქსიმალური ღირებულების დადგენის წესი გამოიყენება საბოლოო პროდუქციის წარმოშობის დადგენაში, ექსპორტიორი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე გამოყენებული წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების მთლიანი ღირებულება, აღებული წინამდებარე მუხლის დებულებების გამოყენების შედეგად ექსპორტიორი ხელშემკვრელი მხარის ფარგლებს გარეთ შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან ერთად, არ უნდა აჭარბებდეს დადგენილ პროცენტულობას.

5. მე-3 და მე-4 პუნქტების გამოყენების მიზნით, “მთლიანი დამატებითი ღირებულება” ნიშნავს ექსპორტიორი მხარის ფარგლებს გარეთ გაწეულ ყველა ხარჯს, იქ გამოყენებული მასალების ღირებულების ჩათვლით.
6. მე-3 და მე-4 პუნქტები არ ეხება პროდუქციას, რომელიც არ აკმაყოფილებს II დანართში ჩამოთვლილ პირობებს, და რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად დამუშავებულად-გადამუშავებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულია მე-5 მუხლში დაფიქსირებული ზოგადი დაშვებები.
7. წინამდებარე მუხლის დებულებებში მოცემული და ექსპორტიორი მხარის საზღვრებს გარეთ შესრულებული დამუშავება-გადამუშავების ნებისმიერი ტიპი მოექცევა ზედაპირული დამუშავების ან მსგავსი კლასიფიცირების ქვეშ.

მუხლი 14

ცვლილების არარსებობა

1. შესაბამისი შეთანხმებით დადგენილი პრეფერენციული რეჟიმი ეხება მხოლოდ იმ პროდუქციას, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესების მოთხოვნებს და განკუთვნილია მხარეში იმპორტირებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ იგივე პროდუქცია ექსპორტირდება მეორე მხარის მიერ. ისინი არ უნდა შეიცვალოს, გარდაიქმნას რაიმე ფორმით ან დაექვემდებაროს ოპერაციებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა მათი ვარგისიანობის შენარჩუნება, ან ნიშნების, ეტიკეტების, ბეჭდების ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტაციის დამატება იმპორტიორი მხარის სპეციალურ საშინაო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც განხორციელებულია საბაჟო ზედამხედველობით სატრანზიტო მესამე ქვეყანა(ებ)ში, ან დანაწევრება სანამ არ იქნება გამოყენებული ადგილობრივი მოხმარებისთვის.

2. პროდუქციის ან პარტიების შენახვა შეიძლება განხორციელდეს იმ პირობით, რომ ისინი საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ რჩებიან სატრანზიტო მესამე ქვეყანა(ებ)ში.

3. ამ დანართის V თავის შეუზღუდავად, პარტიების დაყოფა შეიძლება მოხდეს, იმ პირობით, რომ ისინი დარჩებიან დაყოფის განმახორციელებელ მესამე ქვეყანა(ებ)ში.

4. დაინტერესების შემთხვევაში, იმპორტიორ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს იმპორტიორს ან მის წარმომადგენელს, ნებისმიერ დროს წარუდგინონ ყველა შესაბამისი დოკუმენტი, ამ მუხლის შესაბამისობის დამადასტურებელი საბუთის სახით, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი დოკუმენტური მტკიცებულებით, განსაკუთრებით:

(ა) საკონტრაქტო სატრანსპორტო დოკუმენტები, როგორიცაა ზედნადები;

(ბ) ფაქტობრივი ან კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც ემყარება შეფუთვების მარკირებას ან ნუმერაციას;

(გ) დაყოფის განმახორციელებელი ან სატრანზიტო ქვეყნის/ქვეყნების საბაჟო ორგანოების მიერ გაცემული მოწმობა პროდუქციაზე ზემოქმედების არარსებობის შესახებ, ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი რჩება საბაჟო ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ სატრანზიტო ან დაყოფის განმახორციელებელ ქვეყანა(ებ)ში; ან

(დ) საქონელთან დაკავშირებული ნებისმიერი მოწმობა.

მუხლი 15

გამოფენები

1. მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული მხარის გარდა, სხვა რომელიმე ქვეყანაში (რომელთანაც გამოიყენება კუმულაცია) გამოფენაზე გაგზავნილი წარმოშობის მქონე პროდუქცია, და გამოფენის შემდეგ მხარის ტერიტორიაზე იმპორტის მიზნით გაყიდული, იმპორტისას ისარგებლებს შესაბამისი შეთანხმებით იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო უწყებისთვის ნაჩვენები და დამაჯერებელი იქნება, რომ:

(ა) ექსპორტიორმა გაგზავნა მოცემული პროდუქცია ერთი მხარიდან იმ ქვეყანაში, რომელშიც ჩატარდა გამოფენა, და მას აღნიშნული პროდუქცია გამოფენილი ჰქონდა ამ გამოფენაზე;

(ბ) პროდუქცია ექსპორტიორმა მიჰყიდა ან სხვაგვარად გადასცა პირს სხვა მხარეში;

(გ) პროდუქცია გადაცემულ იქნა გამოფენის დროს ან დაუყოვნებლივ მის შემდეგ ისეთივე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის გაიგზავნა გამოფენაზე; და

(დ) პროდუქცია, მას შემდეგ რაც ის გაიგზავნა გამოფენისთვის, არ ყოფილა გამოყენებული რაიმე სხვა მიზნით, გარდა მისი გამოფენაზე წარდგენისა.

2. წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული ან შედგენილი უნდა იყოს ამავე დანართის V თავის შესაბამისად და იმპორტიორი მხარის საბაჟო უწყებისთვის დადგენილი წესით წარდგენილი. იქვე მითითებული უნდა იყოს გამოფენის სახელწოდება და მისი ჩატარების მისამართი. აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს პროდუქციის გამოფენის პირობების დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტები.

3. პირველი პუნქტი ეხება ნებისმიერ სავაჭრო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო ან რეწვასთან დაკავშირებულ გამოფენას, ბაზრობას ან მსგავს საზოგადოებრივ ჩვენებას ან გამოფენას, რომელიც არ არის ორგანიზებული კერძო მიზნებისთვის მაღაზიებში ან ბიზნეს ფართზე უცხოური პროდუქციის გაყიდვის მიზნით, და რომელთა განმავლობაშიც პროდუქცია რჩება საბაჟოს კონტროლის ქვეშ.

თავი IV დაბრუნება ან გადასახადისგან გათავისუფლება

მუხლი 16

საბაჟო გადასახადის დაბრუნება ან მისგან გათავისუფლება

1. წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალები, რომლებიც გამოიყენება ჰარმონიზებული სისტემის 50-63-ე თავებით გათვალისწინებული პროდუქციის საწარმოებლად მხარეში, და რომლისთვისაც წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია ან შედგენილია ამავე დანართის V თავის დებულებების შესაბამისად, არ დაექვემდებარება ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის საბაჟო მოსაკრებლის დაბრუნებას ან მისგან გათავისუფლებას.

2. პირველ პუნქტში მოცემული აკრძალვა ეხება იმ საბაჟო მოსაკრებლების ან გადასახადების ნაწილობრივ თუ მთლიანად დაბრუნების, რემისიის ან გადაუხდელობის ნებისმიერ ზომას, რომლებიც ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე წარმოებაში მოხმარებული მასალების შესახებ იმ მოქმედი კანონების ეკვივალენტურია, რომელთაც ამგვარი დაბრუნება, რემისია ან გადაუხდელობა ეხებათ, თვალნათლივ ან არსობრივად, და როცა ხდება ზემოხსენებული მასალებისგან მიღებული პროდუქციის ექსპორტი და არა მაშინ, როცა ისინი ქვეყანაში რჩება ადგილობრივი მოხმარების მიზნით.

3. წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტში მოხსენიებული პროდუქციის ექსპორტიორი მზად უნდა იყოს, ნებისმიერ დროს, საბაჟოს ან სხვა კომპეტენტური უწყების მოთხოვნით, წარადგინოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ მოცემული პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების მიმართ არ არის მიღებული საბაჟო მოსაკრებლის რაიმე დათმობა და რომ ამგვარ მასალასთან დაკავშირებული ყველა საბაჟო მოსაკრებელი ან გადასახდელი ფაქტობრივად გადახდილია.

4. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ გამოიყენება მხარეებს შორის იმ პროდუქციაზე ვაჭრობის შემთხვევაში, რომელსაც მოპოვებული აქვს წარმოშობის სტატუსი წარმოშობის კუმულაციის გამოყენებით, რომელიც გათვალისწინებულია მე-7 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით.

თავი V წარმოშობის დადასტურება

მუხლი 17

ზოგადი მოთხოვნები

1. ხელშემკვრელი მხარის პროდუქცია მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე იმპორტისას ისარგებლებს შესაბამისი შეთანხმების დებულებებით წარმოშობის დამადასტურებელი ერთ-ერთი სახის შემდეგი დოკუმენტის წარდგენისას:

(ა) EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი. მისი ნიმუში მოცემულია IV დანართში;

(ბ) მე-18 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული შემთხვევებისას, დეკლარაცია (შემდგომში წოდებული, როგორც „წარმოშობის დეკლარაცია“), რომელსაც ექსპორტიორი ურთავს ანგარიშფაქტურას, მოწოდების შეტყობინება ან ნებისმიერი სხვა კომერციული დოკუმენტი, რომელიც აღწერს მოცემულ პროდუქციას ისეთი დეტალებით, რომლებიც იძლევა მისი იდენტიფიკაციის საშუალებას; წარმოშობის დეკლარაციის ტექსტები მოცემულია III დანართში.

2. მიუხედავად ამ მუხლის პირველი პუნქტისა, წინამდებარე წესების მნიშვნელობით მოცემული წარმოშობის მქონე პროდუქცია, 27-ე მუხლში დასახელებულ შემთხვევებში, სარგებლობს ამ შეთანხმების დებულებებით და არ არის აუცილებელი წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით დასახელებული წარმოშობის დამადასტურებელი რომელიმე დოკუმენტის წარმოდგენა.

3. 1-ლი პუნქტის შეუზღუდავად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ მათ შორის შეღავათიანი ვაჭრობისთვის, 1 პუნქტის (ა) და (ბ) პუნქტებში ჩამოთვლილი წარმოშობის მტკიცებულებები შეიცვლება ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ექსპორტიორების მიერ წარმოშობის შესახებ განცხადებებით, მხარეთა შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

ორი ან მეტი ხელშემკვრელი მხარის მიერ შეთანხმების საფუძველზე ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ექსპორტიორების მიერ გაკეთებული განცხადების გამოყენება ხელს არ შეუშლის დიაგნოსტური კუმულაციის გამოყენებას სხვა ხელშემკვრელ მხარეებთან.

4. 1 პუნქტის მიზნებისათვის, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ შექმნან სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს 1 პუნქტის (ა) და (ბ) პუნქტებში ჩამოთვლილი წარმოშობის მტკიცებულებების ელექტრონული ფორმით გაცემას და/ან ელექტრონული ფორმით წარდგენას.

5. მე-7 მუხლის მიზნებისათვის, თუ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი გამოიყენება, მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეში არსებული ექსპორტიორი, რომელიც გასცემს ან ითხოვს წარმოშობის დამადასტურებელ საბუთს წარმოშობის სხვა მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც სარგებლობს მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარდგენის ვალდებულებაზე უარის თქმის უფლებით, უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესრულებულია კუმულაციის გამოყენების პირობები და მომზადებულია საბაჟო ორგანოებისათვის ყველა შესაბამისი დოკუმენტის წარსადგენად.

მუხლი 18

წარმოშობის დეკლარაციის შედგენის პირობები

1. მე-17 მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტში აღწერილი წარმოშობის დეკლარაცია შეიძლება შეადგინოს:
 - (ა) უფლებამოსილმა ექსპორტიორმა მე-19 მუხლის შინაარსის ფარგლებში; ან
 - (ბ) ნებისმიერი ისეთი პარტიის ნებისმიერმა ექსპორტიორმა, რომელიც შედგება ერთი ან მეტი წარმოშობის მქონე პროდუქციის შემცველი ფუთისგან, რომელთა საერთო ღირებულება არ აღემატება 6 000 ევროს.
2. წარმოშობის შესახებ დეკლარაცია შეიძლება გაკეთდეს, თუ პროდუქცია ჩაითვლება როგორც წარმოშობილი მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეში, და აკმაყოფილებს ამ წესების სხვა მოთხოვნებს.
3. წარმოშობის დეკლარაციის შემდგენელი ექსპორტიორი ნებისმიერ დროს მზად უნდა იყოს, ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყების მოთხოვნით, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს მოცემული პროდუქციის წარმოშობის სტატუსს და ასევე ამ ოქმის სხვა მოთხოვნების შესრულებას.

4. წარმოშობის დეკლარაციას ადგენს ექსპორტიორი ანგარიშფაქტურაზე, მიწოდების შეტყობინებასა თუ სხვა კომერციულ დოკუმენტზე, დეკლარაციაზე ბეჭდვის ან შტამპის დასმის გზით რომელზე დასატანი ტექსტი მოცემულია III დანართში და გამოიყენება იმავე დანართში მოცემული ერთ-ერთი ენა. ყველაფერი ეს სრულდება ექსპორტიორი ქვეყნის შიდა კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. თუ დეკლარაცია ხელითაა შევსებული, მაშინ იგი უნდა შესრულდეს მელნით და ბეჭდური ასოებით.

5. წარმოშობის დეკლარაციაზე უნდა იყოს ექსპორტიორის ორიგინალი ხელმოწერა. თუმცა, უფლებამოსილ ექსპორტიორს, მე-19 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, არ მოეთხოვება ამგვარი დეკლარაციის ხელმოწერა იმ პირობით, რომ მან ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას უნდა წარუდგინოს წერილობითი ვალდებულება, რომ იგი კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას ნებისმიერ იმ წარმოშობის დეკლარაციაზე, რომელიც განიხილება, როგორც ხელმოწერილი მის მიერ.

6. წარმოშობის დეკლარაცია შეიძლება შეადგინოს ექსპორტიორმა, როცა ხდება აღნიშნულ დეკლარაციასთან დაკავშირებული პროდუქციის ექსპორტი, ან ექსპორტირების შემდეგ („რეტროსპექტული წარმოშობის დეკლარაცია“) იმ პირობით, რომ იგი წარმოდგენილი იქნება იმპორტიორი ქვეყნისთვის 2 წლის განმავლობაში იმ პროდუქციის იმპორტის შემდეგ, რომელთანაც იგი არის დაკავშირებული.

თუ პარტიების დაყოფა ხდება მე -14 მუხლის მე -3 პუნქტის შესაბამისად და იმ პირობით, რომ დაცულია იგივე ორი წლის ვადა, რეტროსპექტულ წარმოშობის დეკლარაციას ადგენს პროდუქციის ექსპორტიორი მხარის უფლებამოსილი ექსპორტიორი.

მუხლი 19

უფლებამოსილი ექსპორტიორი

1. ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებამ, ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად, ნებისმიერ ექსპორტიორს (“უფლებამოსილი ექსპორტიორი”) ამ მხარეში, შეიძლება მიანიჭოს წარმოშობის დეკლარაციის შედგენის უფლებამოსილება მიუხედავად მოცემული პროდუქციის ღირებულებისა.
2. ამგვარი უფლებამოსილების მსურველმა ექსპორტიორმა საბაჟო უწყებას უნდა წარუდგინოს პროდუქციის წარმოშობის სტატუსის და წინამდებარე წესების სხვა მოთხოვნების შესრულების მათთვის დამაკმაყოფილებელი მტკიცებულებები.
3. უწყება მიანიჭებს უფლებამოსილ ექსპორტიორს საბაჟოს უფლებამოსილების აღმნიშვნელ ნომერს, რომელიც უნდა დაისვას წარმოშობის დეკლარაციაზე
4. საბაჟო უწყება გააკონტროლებს უფლებამოსილი ექსპორტიორის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენებას. მათ შეუძლიათ უფლებამოსილების ჩამორთმევა მაშინ, როდესაც უფლებამოსილი ექსპორტიორი არასწორად იყენებს მას ან თუ უფლებამოსილი ექსპორტიორი აღარ უზრუნველყოფს მე-2 პუნქტში მოცემულ გარანტიებს.

მუხლი 20

EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გაცემის პროცედურა

1. EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი გიცემა ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყების მიერ, რომელზედაც განაცხადი კეთდება წერილობით ექსპორტიორის მიერ ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ექსპორტიორის პასუხისმგებლობით.

2. ამ მიზნით, ექსპორტიორმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა შეავსოს EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი და განაცხადის ფორმა, რომლის ნიმუშები მოცემულია IV დანართში. აღნიშნული ფორმები შეიცვება შესაბამისი შეთანხმების ერთ-ერთ ენაზე და ექსპორტიორი ქვეყნის შიდა კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. მათი ხელით შევსების შემთხვევაში, სიტყვები შეტანილი უნდა იქნეს მელნით და ბეჭდური ასოებით. პროდუქციის აღწერა შეტანილი უნდა იქნეს ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ უჯრაში ცარიელი ხაზების გამოუტოვებლად. თუ რომელიმე უჯრა არ იქნება სრულად შევსებული, მაშინ ჰორიზონტალური ხაზი უნდა გაესვას აღწერის ბოლო ხაზის ქვეშ და გადაიხაზოს ცარიელი ადგილი.

3. გადაადგილების სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს ფრაზას ინგლისურ ენაზე 'TRANSITIONAL RULES' მე-7 უჯრაში.

4. ექსპორტიორი, რომელიც მოითხოვს EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატს, ნებისმიერ დროს, ექსპორტიორი მხარის (სადაც გაიცემა EUR.1 სერტიფიკატი) საბაჟოს უწყების მოთხოვნის თანახმად, მზად უნდა იყოს ყველა იმ აუცილებელი დოკუმენტის წარსადგენად, რომელიც დაადასტურებს მოცემული პროდუქციის წარმოშობის სტატუსს, და ასევე წინამდებარე წესების სხვა მოთხოვნების შესრულებას.

5. EUR. 1 გადაადგილების სერტიფიკატს გასცემს ექსპორტიორი მხარის საბაჟო ორგანო იმ შემთხვევაში, თუ მითითებული პროდუქცია შესაძლებელია ჩაითვალოს წარმომშობის სტატუსის მქონე პროდუქციად და ამასთან, სრულდება წინამდებარე წესების სხვა მოთხოვნები.

6. EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გამცემი საბაჟო უწყება მიიღებს ყველა ზომას, რომელიც აუცილებელია პროდუქციის წარმოშობის დასადგენად და წინამდებარე წესების სხვა მოთხოვნების შესასრულებლად. ამისათვის, მას აქვს უფლება მოითხოვოს ნებისმიერი მტკიცებულება, და ჩაატაროს ნებისმიერი სახის ინსპექცია ექსპორტიორის ანგარიშებისა ან ნებისმიერი სხვა სახის შემოწმება, რომელსაც იგი ჩათვლის საჭიროდ. ის უნდა დარწმუნდეს მე-2 პუნქტში ნახსენები ფორმების სწორად შევსებაში. კერძოდ, მან უნდა შეამოწმოს არის თუ არა პროდუქციის აღწერისთვის გამოყოფილი უჯრები შევსებული ისე, რომ გამორიცხული იყოს ყველანაირი ყალბი დანართების შეტანის შესაძლებლობა.

7. EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გაცემის თარიღი მითითებული უნდა იყოს სერტიფიკატის მე-11 უჯრაში.

8. EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი გაიცემა საბაჟო უწყების მიერ და გადაეცემა ექსპორტიორს, როდესაც ფაქტიური ექსპორტი იქნება განხორციელებული ან გარანტირებული.

მუხლი 21

რეტროსპექტულად გაცემული EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი

1. მე-20 მუხლის მე-8 პუნქტის მიუხედავად, EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი შეიძლება გაიცეს ექსპორტის განხორციელების შემდეგ მასთან დაკავშირებული პროდუქციისთვის, თუ:

(ა) იგი არ გაიცა ექსპორტირების დროს შეცდომების, დაუდევრობის ან განსაკუთრებული გარემოებების გამო; ან

(ბ) საბაჟო უწყებისთვის ცხადი გახდება, რომ EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი გაცემული იყო, მაგრამ ვერ იქნა მიღებული იმპორტირებისას ტექნიკური მიზეზების გამო;

(გ) შესაბამისი პროდუქციის საბოლოო დანიშნულების ადგილი არ იყო ცნობილი ექსპორტის დროს და განისაზღვრა მათი ტრანსპორტირების ან შენახვის დროს და პარტიების შესაძლო გაყოფის შემდეგ, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

(დ) გადაადგილების სერტიფიკატი გამოიცა პან-ევრო ხმელთაშუა კონვენციის წესების შესაბამისად იმ პროდუქციისთვის, რომელსაც ასევე გააჩნია წარმოშობის სტატუსი წინამდებარე წესების შესაბამისად; ექსპორტიორმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ნაბიჯი იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესრულებულია პირობები კუმულაციისთვის და მზად არის წარუდგინოს საბაჟო ორგანოს ყველა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პროდუქტის წარმოშობას ამ წესების შესაბამისად; ან

(ე) გადაადგილების სერტიფიკატი EUR.1 გაიცა მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენება საჭიროა მოთხოვნის წარმდგენ სხვა ხელშემკვრელ მხარეში იმპორტისას.

2. 1-ლი პუნქტის განხორციელების მიზნით, ექსპორტიორმა განაცხადში უნდა მიუთითოს იმ პროდუქციის ექსპორტირების ადგილი და თარიღი, რომელსაც უკავშირდება EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი, და ჩამოაყალიბოს მოთხოვნის მიზეზები.

3. საბაჟო უწყებას შეუძლია EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გაცემა რეტროსპექტულად ექსპორტის თარიღიდან 2 წლის ვადაში და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაადგენს, რომ ექსპორტიორის განაცხადში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება საქმეში მოცემულ ინფორმაციას.

4. მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა, რეტროსპექტულად გაცემულ EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატს უნდა ახლდეს შემდეგი ფრაზა ინგლისურ ენაზე: 'ISSUED RETROSPECTIVELY'.

5. მე-4 პუნქტში მოხსენიებული წარწერა უნდა ჩაისვას EUR. 1 გადაადგილების სერტიფიკატის მე-7 უჯრაში.

მუხლი 22

EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა

1. გადაადგილების სერტიფიკატის მოპარვის, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ექსპორტიორს შეუძლია მიმართოს მის გამცემ საბაჟო უწყებას და მოითხოვოს დუბლიკატი, რომელიც გამოიწერება მათ ხელთ არსებული ექსპორტთან დაკავშირებული დოკუმენტების საფუძველზე.

2. მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა, ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამგვარად გაცემულ დუბლიკატს უნდა ახლდეს შემდეგი ფრაზა ინგლისურ ენაზე: "DUPLICATE"

3. მე-2 პუნქტში მოხსენიებული ფრაზა უნდა ჩაისვას EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის დუბლიკატის მე-7 უჯრაში.
4. დუბლიკატი, რომელზეც აღნიშნული უნდა იყოს EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის დედანის გაცემის თარიღი, ძალაშია აღნიშნული თარიღიდან.

მუხლი 23

წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადა

1. წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი ძალაში იქნება ექსპორტიორ ქვეყანაში მისი გაცემის დღიდან ათი თვის განმავლობაში და წარდგენილ უნდა იქნეს ზემოხსენებული პერიოდის განმავლობაში იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო უწყებისათვის.
2. ის წარმოშობის სერტიფიკატები, რომლებიც წარდგენილია იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო უწყებისათვის პირველ პუნქტში დადგენილი წარდგენის საბოლოო თარიღის შემდეგ, შეიძლება მიღებულ იქნეს პრეფერენციული რეჟიმის მიღების მიზნით, როცა ამგვარი დოკუმენტების წარუდგენლობა საბოლოო თარიღისთვის გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით.
3. დაგვიანებული წარდგენის სხვა შემთხვევებში, იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო უწყებას შეუძლია წარმოშობის სერტიფიკატის მიღება, თუ პროდუქცია წარდგენილია ზემოხსენებულ საბოლოო თარიღამდე.

მუხლი 24

თავისუფალი ზონები

1. მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე ის სავაჭრო პროდუქცია, რომელიც ტრანსპორტირებისას გამოიყენებს მათ ტერიტორიებზე არსებულ თავისუფალ ზონებს, არ იყოს ჩანაცვლებული სხვა საქონლით და არ დაექვემდებაროს რაიმე ქმედებებს გარდა ჩვეულებრივი ოპერაციებისა, რომლებიც გამიზნულია მათი გაფუჭებისგან დასაცავად.
2. პირველი პუნქტისგან გადახვევის საფუძველზე, როდესაც მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი, წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პროდუქცია იმპორტირებულია თავისუფალ ზონაში და განიცდის დამუშავება-გადამუშავებას, შესაძლებელია გაიცეს ან შეიქმნას ახალი წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ზემოხსენებული დამუშავება-გადამუშავება შეესაბამება წინამდებარე წესებს.

მუხლი 25

იმპორტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები წარედგინება იმპორტიორი მხარის საბაჟო ორგანოებს ამ მხარეში მოქმედი პროცედურების შესაბამისად.

იმპორტირება პარტიებად

როცა, იმპორტიორის თხოვნის თანახმად და იმპორტიორი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო უწყების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, ჰარმონიზებული სისტემის ზოგადი მე-2(ა) წესის მნიშვნელობის ფარგლებში და ჰარმონიზებული სისტემის XVI და XVII მუხლებში ან 7308 და 9406 სექციებში შემავალი დაშლილი ან აუწყობელი პროდუქციის იმპორტირება ხორციელდება პარტიებად, ამგვარი პროდუქციის წარმოშობის დამადასტურებელი ერთადერთი დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს საბაჟო უწყებისათვის პირველი პარტიის იმპორტირებისას.

წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლება

1. პროდუქცია, გაგზავნილი პატარა შეკვრებად ერთი კერძო პირის მიერ მეორე კერძო პირისთვის, ან რომელიც შეადგენს მოგზაურების პირად ბარგს, განხილული იქნება როგორც წარმოშობის მქონე პროდუქცია და მისთვის არ მოითხოვება წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა იმ პირობით, რომ ამგვარი პროდუქცია არ არის იმპორტირებული ვაჭრობის გზით და რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესების მოთხოვნებს და სადაც ეჭვს არ იწვევს ამგვარი დეკლარაცია.

2. იმპორტი არ განიხილება როგორც იმპორტი ვაჭრობის გზით, თუ დაკმაყოფილდება შემდეგი პირობები:

(ა) იმპორტი ხორციელდება დროდადრო;

(ბ) იმპორტი შედგება მხოლოდ მიმღებების, მოგზაურების და მათი ნათესავების პირადი მოხმარების პროდუქციისგან;

(გ) პროდუქციის ბუნებისა და რაოდენობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ არა აქვს ადგილი რაიმე კომერციულ მიზნებს.

3. აღნიშნული პროდუქციის მთლიანი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 500 ევროს მცირე ფუთების შემთხვევაში ან 1 200 ევროს იმ პროდუქციის შემთხვევაში, რომელიც შეადგენს მოგზაურების პირადი ბარგის ნაწილს.

მუხლი 28

შეუსაბამობები და მექანიკური შეცდომები

1. მცირე შეუსაბამობების აღმოჩენა წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტისა და იმ დოკუმენტს შორის, რომელიც წარდგენილი იქნა საბაჟო უწყებაში ფორმალობების შესასრულებლად პროდუქციის იმპორტის მიზნით, თავად ფაქტიდან გამომდინარე, არ გააუქმებს წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტის, თუ სათანადოდ დამტკიცდება, რომ ეს დოკუმენტი ნამდვილად შეესაბამება განაცხადში მოცემულ პროდუქციას.

2. წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტში აშკარა მექანიკური შეცდომები, რომელიც დაშვებულია, მაგალითად, ბეჭდვის დროს, არ გამოიწვევს ამ მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებული დოკუმენტის გაუქმებას, თუ ამგვარი შეცდომები არ წარმოშობს ეჭვს ამ დოკუმენტში მოტანილი ფაქტების სისწორესთან დაკავშირებით.

მომწოდებლის დეკლარაციები

1. როდესაც გაიცემა EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი ან იქმნება წარმოშობის დეკლარაცია ნებისმიერ მხარეში წარმოშობის მქონე პროდუქციისთვის, რომლის წარმოებისას მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის ან მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გამოიყენეს მოთხოვნის წარმდგენი სხვა ხელშემკვრელი მხარის საქონელი, რომელმაც იმ მხარეში გაიარა დამუშავება ან გადამუშავება წარმოშობის პრეფერენციული სტატუსის მიღების გარეშე, მხედველობაში მიიღება ამ საქონლისთვის გაცემული მომწოდებლის დეკლარაცია, ამავე მუხლის შესაბამისად.
2. მომწოდებლის დეკლარაცია, რომელიც მითითებულია პირველ პუნქტში, წარმოადგენს იმ საქონლის დამუშავების ან გადამუშავების მტკიცებულებას, რომელსაც შესაბამისი ხელშემკვრელი მხარე ახორციელებს კონკრეტული საქონლის მიმართ იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს პროდუქცია, რომლის წარმოებაშიც გამოიყენება ეს საქონელი, ექსპორტიორ მხარეში წარმოშობილად და აკმაყოფილებს თუ არა ამ წესების სხვა მოთხოვნებს.
3. მომწოდებლის მიერ ცალკეული დეკლარაცია უნდა შედგეს საქონლის თითოეული ტვირთისთვის, გარდა მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, VI დანართში მოცემული ფორმით, ანგარიშფაქტურაზე თანდართულ ფურცელზე, მიწოდების შეტყობინებასთან ერთად ან სხვა ნებისმიერი კომერციული დოკუმენტის სახით, რომელიც აღწერს შესაბამის საქონელს საკმარისად დეტალურად იმისათვის, რათა მოხდეს მათი იდენტიფიკაცია.

4. თუ მომწოდებელი რეგულარულად ამარაგებს კონკრეტულ მომხმარებელს საქონლით, რომლის დამუშავება ან გადამუშავება მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეში მოწმდება მისი მუდმივობის უზრუნველსაყოფად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მას შეუძლია წარადგინოს ერთადერთი მომწოდებლის დეკლარაცია ამ საქონლის შემდგომი პარტიების დასაფარავად („გრძელვადიანი მომწოდებლის დეკლარაცია“). გრძელვადიანი მომწოდებლის დეკლარაცია ჩვეულებრივ შეიძლება მოქმედებდეს დეკლარაციის შედგენის დღიდან ორი წლის განმავლობაში.

მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ორგანოები, სადაც დეკლარაცია დგინდება, ადგენენ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ ხანგრძლივი ვადით სარგებლობას. გრძელვადიანი მომწოდებლის დეკლარაცია შედგენილია მომწოდებლის მიერ VII დანართში მითითებული ფორმით და აღწერს შესაბამის საქონელს საკმარისად დეტალურად იმისათვის, რათა მოხდეს მათი იდენტიფიკაცია.

იგი დაინტერესებულ მომხმარებელს უნდა მიეწოდოს მანამ, სანამ იგი მიიღებს ამ დეკლარაციით გათვალისწინებული საქონლის პირველ პარტიას, ან მის პირველ პარტიასთან ერთად. მომწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თავის მომხმარებელს, თუ გრძელვადიანი მომწოდებლის დეკლარაცია აღარ გამოიყენება მოწოდებული საქონლის მიმართ.

5. მომწოდებლის დეკლარაციები, რომლებიც მითითებულია მე-3 და მე-4 პუნქტებში, უნდა იყოს აკრეფილი ან დაბეჭდილი შეთანხმების ერთ-ერთი ენის გამოყენებით, იმ ხელშემკვრელი მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც შედგენილია დეკლარაცია, და ხელნაწერი დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მომწოდებლის ორიგინალ ხელმოწერას. დეკლარაცია ასევე შეიძლება იყოს ხელნაწერი; ასეთ შემთხვევაში, ეს უნდა იყოს დაწერილი მელნით, დაბეჭდილი სიმბოლოებით.

6. დეკლარაციის შემქმნელი მომწოდებელი მზად უნდა იყოს წარადგინოს ყველა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ამ დეკლარაციაში მოცემული ინფორმაციის დამადასტურებელია ნებისმიერ დროს, იმ ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ორგანოების მოთხოვნით, სადაც შედგენილია დეკლარაცია.

მუხლი 30

ევროში გამოხატული თანხები

1. მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტის და 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების გამოყენების მიზნით იმ შემთხვევაში, როცა პროდუქციის ანგარიშფაქტურა შედგენილია ევროს გარდა რომელიმე სხვა ვალუტაში, სახელმწიფოების ეროვნულ ვალუტებში გამოსახული თანხები, რომლებიც ეკვივალენტურია ევროებში გამოხატული თანხებისა, ყოველწლიურად უნდა შესწორდეს თითოეული შესაბამისი ქვეყნის მიერ.
2. პარტიას შეეხება მე- 18 მუხლის პირველი პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტის და 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები იმ ვალუტის გათვალისწინებით, რომელშიც შედგენილია ანგარიშფაქტურა, შესაბამისი ქვეყნის მიერ შესწორებული თანხის მიხედვით.
3. თანხები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ნებისმიერ მოცემულ ეროვნულ ვალუტაში, იმ ვალუტაში ეკვივალენტური იქნება ევროებში გამოხატული თანხისა ოქტომბრის პირველ სამუშაო დღეს. თანხებთან დაკავშირებით ეცნობება ევროკომისიას 15 ოქტომბრამდე და ის გამოიყენება შემდეგი წლის 1 იანვრიდან. ევროკომისია აცნობებს ყველა დაინტერესებულ ქვეყანას შესაბამისი თანხების შესახებ.

4. მხარეებს შეუძლიათ თანხის დამრგვალება, რაც დაკავშირებულია ევროში გამოხატული თანხის მათ ეროვნულ ვალუტაში გადაყვანასთან. დამრგვალებული თანხა არ უნდა განსხვავდებოდეს კონვერტირებული თანხის ოდენობისგან 5%-ზე მეტად. მხარეებს შეუძლიათ უცვლელად დატოვონ ევროებში გამოხატული თანხის ეკვივალენტური მისი ეროვნული ვალუტა, თუ მე-3 პუნქტში მოცემული წლიური შესწორების დროს ამ თანხის კონვერტაცია, დამრგვალებამდე, შედეგად მოიტანს ეროვნული ვალუტის ეკვივალენტის 15%-მდე ზრდას. ეროვნულ ვალუტაში გამოხატული ეკვივალენტი შეიძლება დარჩეს უცვლელი, თუ კონვერტაციას შედეგად მოჰყვება ამ თანხის შემცირება.

5. ევროში გამოხატულ თანხებს განიხილავს საბაჟო ქვეკომიტეტი ნებისმიერი მხარის თხოვნით. განხილვისას საბაჟო ქვეკომიტეტი მხედველობაში მიიღებს შეზღუდვების ეფექტის შენარჩუნების სასურველობას რეალურ ვადებში. ამ მიზნით, მან შეიძლება გადაწყვიტოს ევროებში გამოხატული თანხების მოდიფიცირება.

თავი VI თანამშრომლობის პრინციპები და დოკუმენტირებული მტკიცებულება

მუხლი 31

დოკუმენტური მტკიცებულებები, წარმოშობის მტკიცებულებების და თანმხლები დოკუმენტების შენახვა

1. ექსპორტიორმა, რომელმაც შეავსო წარმოშობის დეკლარაცია ან განაცხადი გააკეთა გადაადგილების სერტიფიკატზე EUR.1, უნდა შეინახოს ამ წარმოშობის მტკიცებულებების და პროდუქტის წარმოშობის სტატუსის ყველა დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონული ან ამობეჭდილი ვერსია წარმოშობის დეკლარაციის გაცემიდან ან შევსებიდან სულ მცირე სამი წლით.

2. მიმწოდებელმა, რომელიც ავსებს მიმწოდებლის დეკლარაციას, უნდა შეინახოს დეკლარაციის და ყველა ინვოისის, სასაქონლო ზედნადებების ან სხვა სავაჭრო დოკუმენტების ასლები, რომლებიც ამ დეკლარაციის ნაწილს წარმოადგენენ; აგრეთვე დოკუმენტები, რომლებიც მოხსენიებულია 29 (6) მუხლში სულ მცირე 3 წლის განმავლობაში.

მიმწოდებელმა, რომელიც ავსებს გრძელვადიან მიმწოდებლის დეკლარაციას, უნდა შეინახოს დეკლარაციის და ყველა ინვოისის, სასაქონლო ზედნადებების ან სხვა სავაჭრო დოკუმენტების ასლები, რომლებიც შეეხება ამ დეკლარაციაში არსებულ საქონელს და ეგზავნება შესაბამის დამკვეთს, აგრეთვე ყველა დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია 29(6) მუხლში სულ მცირე სამი წლის განმავლობაში. ეს პერიოდი უნდა დაიწყოს მიმწოდებლის გრძელვადიანი დეკლარაციის ძალაში ყოფნის ვადის გასვლის თარიღიდან.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ წარმოშობის სტატუსს, მათ შორის, შემდეგია:

(ა) პროდუქტის მისაღებად, ექსპორტიორის ან მიმწოდებლის მიერ განხორციელებული პროცესის პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც მაგ. წარმოდგენილია მათ ანგარიშებში ან შიდა ანგარიშწარმოებაში;

(ბ) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ გამოყენებული მასალის წარმოშობის სტატუსს, რომელიც გაცემულია ან შევსებულია შესაბამისი მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის მიერ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით;

(გ) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ შესაბამის მხარეში ნივთიერებების დამუშავებასა და გადამუშავებას, რომელიც გამოცემულია ან შევსებულია ამ მხარეში მისი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით;

(დ) წარმოშობის დეკლარაცია ან გადაადგილების სერტიფიკატი EUR.1, რომლებიც ადასტურებენ გამოყენებული ნივთიერებების წარმოშობის სტატუსს და გამოშვებულია ან შევსებულია მხარეებს შორის ამ წესების მიხედვით;

(ე) მე-13 და მე-14 მუხლების გამოყენებით შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც შეეხება მხარეებს გარეთ შესრულებულ დამუშავებას ან გადამუშავებას და ამტკიცებს ამ მუხლების მოთხოვნების შესრულებას.

4. გადაადგილების სერტიფიკატის EUR.1-ის გამცემმა საექსპორტო მხარის საბაჟოს უფლებამოსილმა პირებმა უნდა შეინახონ 20(2) მუხლში ნახსენები სააპლიკაციო ფორმა სულ მცირე სამი წლის განმავლობაში.

5. საიმპორტო მხარის საბაჟოს უფლებამოსილმა პირმა უნდა შეინახოს გადაცემული წარმომავლობის დეკლარაცია და გადაადგილების სერტიფიკატი EUR. სულ მცირე სამი წლის განმავლობაში.

6. მიმწოდებლის დეკლარაცია, რომელიც ადასტურებს მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეში გამოყენებული მასალებით მიმდინარე დამუშავებას ან გადამუშავებას და შევსებულია მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეში, უნდა გამოიყენებოდეს როგორც დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია 18(3), 20(4) და 29(6) მუხლებში იმის დასამტკიცებლად, რომ გადაადგილების სერტიფიკატის EUR.1-ის მიერ წარმოდგენილი პროდუქტები, ან წარმომავლობის დოკუმენტები, უნდა განიხილებოდნენ, როგორც პროდუქტები, რომლებიც მომდინარეობენ მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარის მიერ და აკმაყოფილებენ ამ წესების მოთხოვნილებებს.

მუხლი 32

დავის მოგვარება

როდესაც 34-ე და 35-ე მუხლების ფარგლებში დავა წარმოიშობა შემოწმების პროცედურებთან დაკავშირებით ან ამ დანართის განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც ვერ გვარდება შემოწმების მომთხოვნ საბაჟოს უფლებამოსილ პირებს და შემოწმების განხორციელებაზე პასუხისმგებელ საბაჟოს უფლებამოსილ პირებს შორის, აღნიშნული დავა უნდა გადაეცეს საბაჟოს ქვეკომიტეტს.

ყველა შემთხვევაში დავის მოგვარება იმპორტიორსა და იმპორტიორი მხარის საბაჟო უფლებამოსილ პირობებს შორის უნდა განხორციელდეს იმ კონკრეტულ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის მიხედვით.

თავი VII ადმინისტრაციული თანამშრომლობა

მუხლი 33

შეტყობინება და თანამშრომლობა

1. საბაჟო მხარეების უფლებამოსილმა პირებმა უნდა უზრუნველყონ ერთმანეთი შტამპის ანაბეჭდის ნიმუშით, რომელსაც გამოიყენებენ საკუთარ საბაჟო განყოფილებაში EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის გამოსაშვებად, შემოწმებულ ექსპორტიორებისათვის მინიჭებული საავტორიზაციო ნომრის ნიმუშით და საბაჟოს უფლებამოსილი პირების მისამართით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ სერტიფიკატის და წარმოშობის დეკლარაციების შემოწმებაზე.

2. იმისათვის, რათა ვუზრუნველყოთ ამ წესების შესაბამისი შესრულება, მხარეებმა დახმარება უნდა გაუწიონ ერთმანეთს, კომპეტენტური საბაჟო უფლებამოსილი პირების საშუალებით, გადაადგილების სერტიფიკატის EUR.1-ის, წარმოშობის დეკლარაციის, მიმწოდებლის დეკლარაციის ნამდვილობის შემოწმებაში, და ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეში.

მუხლი 34

წარმოშობის დამადასტურებელი საბუთების შემოწმება

1. წარმოშობის საბუთების შემდგომი შემოწმება უნდა განხორციელდეს შერჩევითად ან იმ შემთხვევაში, როდესაც კი საიმპორტო მხარის საბაჟოს უფლებამოსილ პირებს აქვთ გონივრული ეჭვი ამგვარი დოკუმენტების ნამდვილობასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი პროდუქტების წარმომავლობის სტატუსზე ან ამ წესების სხვა მოთხოვნების შესრულებაზე.

2. როდესაც ისინი აკეთებენ შემდგომი შემოწმების განაცხადს, იმპორტიორი მხარის საბაჟოს უფლებამოსილმა პირებმა უნდა დაუბრუნონ EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი და ინვოისი, თუ ის იყო წარდგენილი, წარმოშობის დეკლარაცია, ან ამ დოკუმენტების ასლი, საექსპორტო მხარის საბაჟოს უფლებამოსილ პირებს და სადაც საჭიროა დაასახელონ შემოწმების მოთხოვნის მიზეზები. ნებისმიერი შეგროვებული დოკუმენტი ან და ინფორმაცია, რომელიც იუწყება, რომ წარმოშობის საბუთში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის სწორი, გადაიგზავნება შემოწმების მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის.

3. შემოწმება უნდა განხორციელდეს საექსპორტო მხარის საბაჟოს უფლებამოსილი პირების მიერ. ამ მიზნების განსახორციელებლად, მათ აქვთ უფლებამოსილება, რომ მოითხოვონ ნებისმიერი დამამტკიცებელი საბუთი, რათა განახორციელონ ექსპორტიორის ანგარიშის შემოწმება ან ნებისმიერი სხვა შემოწმება, რომელიც სათანადოდ მიიჩნევა.

4. თუ საიმპორტო მხარის საბაჟოს უფლებამოსილი პირები გადაწყვეტენ, რომ შეაჩერონ პროდუქტებისათვის უპირატესობით სარგებლობის მინიჭება შემოწმების შედეგების მოლოდინის პროცესში, იმპორტიორისათვის პროდუქტების გაშვება შეთავაზებულ უნდა იქნას წინასწარი სიფრთხილის ზომების გათვალისწინებით.

5. შემოწმების მომთხოვნი საბაჟოს უფლებამოსილი პირები, უნდა იქნან ინფორმირებული მისი შედეგების შესახებ, რაც შეიძლება სწრაფად. ამ შედეგებმა ერთპიროვნულად უნდა აჩვენოს არის თუ არა დოკუმენტები ავთენტური; რამდენად ხდება ამ წესების სხვა მოთხოვნების შესრულება და წარმოდგენილი პროდუქტები მომდინარეობს თუ არა ერთ-ერთი მხრიდან.

6. გონივრული ეჭვის შემთხვევაში, შემოწმების მოთხოვნიდან 10 თვის განმავლობაში თუ არ არის მიღებული პასუხი ან პასუხი არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას, რათა განისაზღვროს განხილვის პროცესში არსებული დოკუმენტის ავთენტურობა, ან პროდუქტების წარმოშობის ნამდვილობა, შემოწმების მომთხოვნი საბაჟოს უფლებამოსილმა პირებმა, გარდა გამოწვევისა, უარი უნდა განაცხადოს უპირატესობის მინიჭების მიღებაზე.

მომწოდებლის დეკლარაციის შემოწმება

1. მომწოდებლის დეკლარაციების ან გრძელვადიანი დეკლარაციების შემდგომი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს შემთხვევითობის პრინციპით, ან როდესაც კი მხარის საბაჟოს უფლებამოსილ პირებს, სადაც გადაადგილების სერტიფიკატის EUR.1-ის გამოსაცემად ან წარმომავლობის დეკლარაციის შესავსებად, მსგავსი დეკლარაცია გათვალისწინებული, აქვთ გონივრული ეჭვი დოკუმენტების ავთენტურობასთან ან დოკუმენტში არსებული ინფორმაციის სისწორესთან დაკავშირებით.

2. პირველი პუნქტის დებულების შესრულებისათვის, მხარის საბაჟოს უფლებამოსილმა პირებმა უნდა დაუბრუნონ მომწოდებლის დეკლარაცია ან მომწოდებლის გრძელვადიანი დეკლარაცია და ინვოის(ებ)ი, სასქონლო ზედნადებ(ებ)ი ან სხვა სახის სავაჭრო დოკუმენტ(ებ)ი, რომლებიც შეეხება ამ დეკლარაციით წარმოდგენილ საქონელს, მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის, საბაჟოს უფლებამოსილ პირებს, სადაც დეკლარაცია იქნა შევსებული და წარმოადგინოს სადაც საჭიროა შემოწმების მოთხოვნის ფორმის ან შინაარსის მიზეზები.

მათ უნდა გააგზავნონ, შემოწმების მოთხოვნის შემდგომი უზრუნველყოფისათვის, ნებისმიერი მოპოვებული დოკუმენტი და ინფორმაცია რომელიც იუწყებოდა, რომ მომწოდებლის დეკლარაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია ან მომწოდებლის გრძელვადიანი დეკლარაცია არის არასწორი.

3. შემოწმება უნდა განხორციელდეს მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის საბაჟოს უფლებამოსილ პირების მიერ, სადაც მომწოდებლის დეკლარაცია ან მომწოდებლის გრძელვადიანი დეკლარაცია იქნა შევსებული. ამ მიზნებიდან გამომდინარე, მათ უნდა ქონდეთ უფლება მოითხოვონ ნებისმიერი საბუთი და განახორციელონ მომწოდებლის ანგარიშების ნებისმიერი სახის შემოწმება ან მათ მიერ შესაბამისად მიჩნეული ნებისმიერი სხვა სახის შემოწმება.

4. შემოწმების მოთხოვნი საბაჟოს უფლებამოსილ პირებს უნდა ეცნობოთ მათი შედეგების შესახებ, რაც შეიძლება სწრაფად. ამ შედეგებმა ერთპიროვნულად უნდა აჩვენოს რომ მომწოდებლის დეკლარაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია ან მომწოდებლის გრძელვადიანი დეკლარაცია არის სწორი და შესაძლებელს ხდის მათთვის, რომ განსაზღვრონ ამგვარი დეკლარაცია რამდენად შეიძლება გათვალისწინებულ იქნას გადაადგილების სერტიფიკატის EUR.1-ის გასაცემად ან წარმომავლობის დეკლარაციის შესავსებად.

საურავი

თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრება ამ წესებთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის დარღვევისათვის.

თავი VIII დანართ A–ს გამოყენება

მუხლი 37

ევროპის ეკონომიკური ზონა

ევროპის ეკონომიკური ზონიდან (EEA) მომდინარე საქონელი მე-14 ოქმის მნიშვნელობის ფარგლებში, ევროპის ეკონომიკურ ზონის შეთანხმებასთან მიმართებით, უნდა მიიჩნეოდეს როგორც ევროკავშირიდან, ისლანდიიდან, ლიხტენშტეინიდან ან ნორვეგიიდან (EEA მხარეები) მომდინარე, როდესაც შესაბამისად ექსპორტირება ხდება ევროკავშირიდან, ისლანდიიდან, ლიხტენშტეინიდან ან ნორვეგიიდან საქართველოში, გათვალისწინებულია რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში გამოყენებული ეს წესები მოქმედია საქართველოსა და EEA მხარეებს შორის.

მუხლი 38

ლიხტენშტეინი

მე-2 მუხლისათვის ზიანის მიყენების გარეშე, შვეიცარიასა და ლიხტენშტეინს შორის არსებული საბაჟო გაერთიანების მიხედვით, ლიხტენშტეინიდან მომდინარე პროდუქტი, უნდა განიხილებოდეს როგორც შვეიცარიიდან მომდინარე პროდუქტი.

მუხლი 39

სან-მარინოს რესპუბლიკა

მე-2 მუხლისათვის ზიანის მიუყენებლად, ევროკავშირსა და სან-მარინოს რესპუბლიკას შორის არსებული საბაჟო გაერთიანების მიხედვით, სან-მარინოს რესპუბლიკიდან მომდინარე პროდუქტი, უნდა განიხილებოდეს როგორც ევროკავშირიდან მომდინარე პროდუქტი.

მუხლი 40

ანდორას სამთავრო

მე-2 მუხლისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ევროკავშირსა და ანდორას სამთავროს შორის არსებული საბაჟო გაერთიანების მიხედვით, ანდორას სამთავროდან მომდინარე ის პროდუქტი რომლის კლასიფიცირებაც ხდება ჰარმონიზებული სისტემის 25–დან 97 თავების ჩათვლით უნდა განიხილებოდეს, როგორც ევროკავშირიდან მომდინარე პროდუქტი.

მუხლი 41

სეუტა და მელილა

1. ამ წესების მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „ევროკავშირი“ არ მოიცავს სეუტასა და მელილას.

2. საქართველოდან მომდინარე პროდუქტები, როდესაც მათი იმპორტირება ხდება სეუტასა ან მელილიაში, აქტის მეორე ოქმის ფარგლებში, რომელიც შეეხება ესპანეთის სამეფოსა და პორტუგალიის რესპუბლიკის გაწევრიანების პირობებსა და ხელშეკრულებასთან¹ მორგებას, ყოველმხრივ სარგებლობს იგივე საბაჟო წესით რაც მიესადაგება ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიიდან მომდინარე პროდუქტებს. საქართველოსაც ეძლევა ნებართვა შესაბამისი შეთანხმების მიხედვით წარმოდგენილი პროდუქტების იმპორტირება მოახდინოს და სეუტადან და მელილიადაც მომდინარე პროდუქტებიც სარგებლობენ იგივე საბაჟო წესებით, რომლებიც ნებადართულია იმ პროდუქტებისათვის რომლებიც მომდინარეობს ევროკავშირიდან.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც შეეხება სეუტიდან და მელილიიდან წარმოშობილ პროდუქტებს, ეს წესები უნდა შეეხოს „შესაბამისი ცვლილების შეტანის გათვალისწინებით, მე-15 დანართში წარმოდგენილ სპეციალურ პირობებს“.

დანართი პირველი

გაცნობითი ხასიათის შენიშვნები II დანართში მოცემული ნუსხის მიმართ

შესავალი

ჩამონათვალი აწესებს იმ პირობებს რომლებიც მოეთხოვება ყველა იმ პროდუქტს, რათა ამ დანართის მეორე თავის მე-4 მუხლის მნიშვნელობის მიხედვით, ჩაითვალოს საკმარისად დამუშავებულად ან გადამუშავებულად. არსებობს ოთხი სახის განსხვავებული წესი, რომელიც იცვლება პროდუქტების მიხედვით:

(ა) მუშაობისა თუ გადამუშავებისას წარმოშობის არმქონე ნივთიერებების მაქსიმალური შემცველობა არ არის გადაჭარბებული;

(ბ) დამუშავებისას ან გადამუშავებისას, სამრეწველო პროდუქტების 4-ციფრიანი ჰარმონიზებული სისტემის სათაური ან 6-ციფრიანი ჰარმონიზებული სისტემის ქვედა სათაური, გამოყენებული ნივთიერებების მიხედვით, იცვლება 4-ციფრიანი ჰარმონიზებული სისტემის სათაურიდან ან 6 ციფრიანი ქვესათაურიდან;

(გ) კონკრეტული დასამუშავებელი ან გადასამუშავებელი მოქმედება იქნება განხორციელებული;

(დ) დამუშავება ან გადამუშავება ხორციელდება გარკვეული სახის ერთ ქვეყანაში ნაწარმოებ მასალებზე.

შენიშვნა 2 – ჩამონათვალის სტრუქტურა

2.1 ჩამონათვალში პირველი ორი სვეტი აღწერს მიღებულ პროდუქტებს. საერთო სისტემაში გამოყენებული პირველი სვეტი(1) იძლევა სათაურის ნომერს ან თავის ნომერს და მეორე სვეტი(2) იძლევა ამ სისტემაში ამ სათაურისათვის თუ თავისათვის საქონლის აღწერას. პირველი ორი სვეტის ცალკეული შევსებისათვის,

¹ OJEC302, 15.11.1985, p.23.

შესაბამისი წესი განსაზღვრულია მესამე სვეტში(3). როდესაც ზოგიერთ შემთხვევაში, პირველ სვეტში(1) ჩაანაწერს წინ უსწრებს სიტყვა 'ex', ეს აღნიშნავს რომ მესამე სვეტის(3) წესები შეესაბამება სათაურის მხოლოდ ნაწილს როგორც ეს აღწერილია მეორე სვეტში.

2.2 როდესაც რამდენიმე სათაურის ნომერი ერთად არის დაჯგუფებული პირველ სვეტში(1) ან თავის ნომერი არის მოცემული და შესაბამისად მეორე სვეტში(2) პროდუქტების აღწერა წარმოდგენილია ზოგადი პირობებით, მესამე სვეტში არსებული მომიჯნავე წესი, შეესაბამება ყველა პროდუქტს, რომელიც ჰარმონიზებული სისტემის მიხედვით, კლასიფიცირებულია თავის სათაურებში ან ნებისმიერ სათაურებში, რომელიც დაჯგუფებულია პირველ სვეტში.

2.3 როდესაც არსებობს განსხვავებული წესი, რომელიც შეეხება სათაურის ქვეშ არსებულ განსხვავებულ პროდუქტს, თითოეული ინდენტი შეიცავს იმ სათაურის ნაწილის აღწერას, რომელზეც მოქმედებს მესამე სვეტში არსებული მომიჯნავე წესი.

2.4 სადაც ორი ალტერნატიული წესი არის შემუშავებული მესამე სვეტში და გამოყოფილია „ან“-ის საშუალებით, ექსპორტიორზეა დამოკიდებული თუ რომელს გამოიყენებს.

შენიშვნა 3. მაგალითები, თუ როგორ გამოიყენოთ წესები

3.1 ამ დანართის მეორე სათაურის მეოთხე მუხლი, რომელიც შეეხება პროდუქტებს რომელთაც მიიღეს წარმოშობის სტატუსი და გამოიყენება სხვა პროდუქტების საწარმოებლად, უნდა გამოიყენებოდეს, იმისდა მიუხედავად თუ ეს სტატუსი იმ ქარხნის შიგნით იქნა მიღებული სადაც ამ პროდუქტებს გამოიყენებენ ან მხარის სხვა ქარხანაში.

3.2 ამ დანართის მეორე თავის მე-6 მუხლის თანახმად, განხორციელებულმა დამუშავებამ ან გადამუშავებამ უნდა გადააჭარბოს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოქმედებებს. ზემოთ ნახსენების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სიაში წარმოდგენილი პირობების შესრულების მიუხედავად, საქონელს არ მიეცემა შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის საშუალება,

ამ დანართის მეორე თავის მე-6 მუხლის სიაში არსებული წესები წარმოადგენს მინიმუმი დამუშავების ან გადამუშავების მოთხოვნებს და უფრო მეტი დამუშავების ან გადამუშავების შესრულება ასევე ხდება წარმოშობის სტატუსის მიმნიჭებელი, ამის საპირისპიროდ, ნაკლები დამუშავების ან გადამუშავების შესრულება ვერ გახდება წარმოშობის სტატუსის მინიჭების საფუძველი.

ამგვარად, თუ წესი ადგენს, რომ წარმოშობის არმქონე მასალის გამოყენება წარმოების გარკვეულ დონეზე შესაძლებელია, მაგ. მსგავსი სახის მასალის გამოყენება ნებადართულია წარმოების ადრეულ ეტაპზე, თუმცა მსგავსი სახის მასალის გამოყენება წარმოების შედარებით დამასრულებელ ეტაპზე არ არის ნებადართული.

თუ წესი ადგენს, რომ წარმოშობის არმქონე მასალის გამოყენება წარმოების გარკვეულ დონეზე არ შეიძლება იქნას გამოყენებული, მსგავსი სახის მასალის გამოყენება წარმოების ადრეულ ეტაპზე შესაძლებელია, ხოლო წარმოების ბოლო ეტაპზე არ არის ნებადართული.

მაგალითი: როდესაც მე-19 თავისათვის წესების ჩამონათვალი მოითხოვს, რომ 1101-ე სათაურის წარმოშობის არმქონე მასალამ არ უნდა გადააჭარბოს წინის 20%-ს, მე-10 თავის (წარმოების ადრეული ეტაპის მასალა) მარცვლოვანების გამოყენება (ე.ი.იმპორტირება) არ არის შეზღუდული.

3.3 3.22 შენიშვნისათვის ზიანის მიყენების გარეშე, სადაც წესი იყენებს შემდეგ ჩამონათვას „ნებისმიერი სათაურის ქვეშ არსებული მასალისგან წარმოება“ ნებისმიერი სათაურ(ებ)ის მასალა (ერთი და იგივე აღწერილობის და სათაურის მასალა როგორც პროდუქტი) შეიძლება იქნას გამოყენებული, თუმცა, შესაძლოა გახდეს კონკრეტული შეზღუდვების საგანი, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ამ წესში.

თუმცა გამოთქმა „ნებისმიერი ჯგუფის მასალისაგან წარმოება, ამ ჯგუფის სხვა მასალების ჩათვლით...“ ან ნებისმიერი ჯგუფის მასალისაგან წარმოება, იგივე ჯგუფის მასალებისგან როგორც პროდუქტად, „ნიშნავს რომ ნებისმიერი ჯგუფის მასალ(ებ)ის გამოყენება არის შესაძლებელი, გარდა იგივე აღწერილობის მქონე პროდუქტებისა რომლებიც წარმოდგენილი ჩამონათვალის მეორე სიაში.

3.4 როდესაც ჩამონათვალში წესი აკონკრეტებს რომ პროდუქტის წარმოება შესაძლებელია ერთზე მეტი მასალისაგან, ეს ნიშნავს რომ შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთი ან მეტი მასალა. ის არ მოითხოვს რომ ყველა მათგანი იქნას გამოყენებული.

3.5 როდესაც ჩამონათვალში წესი აკონკრეტებს რომ პროდუქტის წარმოება უნდა მოხდეს კონკრეტული მასალისაგან, მოცემული პირობა არ გამორიცხავს სხვა მასალის გამოყენებას, რომლებიც მათი ბუნებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.

3.6 როდესაც, ჩამონათვალის წესში წარმოშობის არმქონე მასალის მაქსიმალურ ღირებულებად ორი პროცენტია წარმოდგენილი, რომლის გამოყენებაც არის შესაძლებელი, ეს პროცენტები არ შეიძლება დაემატოს ერთმანეთს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოყენებული წარმოშობის არმქონე მასალის მაქსიმალურმა ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მოცემულ პროცენტებს. უფრო მეტიც, ინდივიდუალური პროცენტი არ შეიძლება იქნას გადაჭარბებული, იმ კონკრეტულ მასალებთან მიმართებით, რომლებთანაც ისინი გამოიყენებიან.

შენიშვნა 4 – ზოგადი დებულებები გარკვეული სასოფლო-სამეურნეო საქონელთან დაკავშირებით

4.1 მე-6,7,8,9,10,12 და 2401 თავში წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო საქონელი რომელიც იზრდება და მოსავლის აღება ხდება მხარის ტერიტორიაზე, უნდა განიხილებოდეს როგორც ამ მხარიდან წარმომავალი, იმ შემთხვევაშიც როდესაც მისი გაზრდა მოხდა იმპორტირებული მარცვლის, ბოლქვის, ფესვის,

მისი ნაწილის, ნამყენი ნაწილი, ყლორტის, კვირტის ან მცენარის სხვა “ცოცხალი” ნაწილების გამოყენებით.

4.2 იმ შემთვევებში, როდესაც წარმოშობის არმქონე შაქრის შემადგენლობა მოცემულ პროდუქტში წარმოადგენს შეზღუდვის საგანს, 1701 (საქაროზა) და 1702 ჯგუფის (მაგ. ფრუქტოზა, გლუკოზა, ლაქტოზა, მალტოზა არის გლუკოზა ან ინვერსიული შაქარი) საბოლოო პროდუქტის წარმოებაში ან საბოლოო პროდუქტში გამოყენებული წარმოშობის არმქონე პროდუქტების წარმოებისას შაქრის წონა გათვალისწინებულია მსგავსი შეზღუდვების გამოსათვლელად.

შენიშვნა 5 – გარკვეული სახის ტექსტილის პროდუქციასთან გამოყენებული ტერმინოლოგია.

5.1 ჩამონათვალში გამოყენებული ტერმინი “ნატურალური ბოჭკო” შეეხება ყველა ბოჭკოს, გარდა ხელოვნურისა ან სინთეზურისა. ის შეზღუდულია ეტაპებით მანამდე, სანამ დაიწყება მისი დახვევა, ნარჩენების ჩათვლით და სხვა შემთხვევაში თუ არ არის დაკონკრეტებული, შეიცავს ბოჭკოებს, რომელიც იქნა დაჩეჩილი, განცალკევებული ერთმანეთისაგან ან სხვა რაიმე გზით გადამუშავებული და არა დახვეული.

5.2 ტერმინი „ბუნებრივი ბოჭკო“ გულისხმობს 0511ჯგუფის ცხენის ბეწვს, 5002 და 5003 ჯგუფის აბრეშუმს, აგრეთვე შალის ბოჭკოს და 5101 დან 5105–ამდე ჯგუფის უხეშ ან რბილ ბეწვს, 5201დან 5203 –ამდე ჯგუფის ბამბის ბოჭკოებს, 5301 ჯგუფის სხვა სახის ბოსტნეულის ბოჭკოებს.

5.3 ტერმინები “ტექსტილის ცელულოზა” „ქიმიური მასალები“ და „ქაღალდის დასამზადებლად საჭირო მასალები“ სიაში გამოყენებულია რათა აღწეროს მასალები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 50–დან 63–ამდე თავებში და რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელოვნური, სინთეზური ან ქაღალდის ბოჭკოების ან ნართის საწარმოებლად.

5.4 5501 დან 5507– ამდე ჯგუფების სიებში. სიაში გამოყენებული ტერმინი ‘ ხელოვნური დაუმუშავებელი ნართის ბოჭკო’ შეეხება სინთეზურ ან ხელოვნურ ბოჭკოების შეკვრას, დაუმუშავებელი ნართის ბოჭკოს ან ნარჩენებს.

5.5 ბეჭვდა (როდესაც კობინირდება მოქსოვის პრიცესთან, ქსოვასთან/ყაისნადით ქსოვასთან, საქსოვ ხელსაწყოსთან) განმარტებულია როგორც ტექნიკა რომლის საშუალებითაც ობიექტურად შეფასებული ფუნქცია, როგორიცაა ფერი, დიზაინი, ტექნკური შესრულება, რომელიც ხორციელდება ტექსტილის ზედაპირზე და რჩება მუდმივიად, როლერის, ციფრული ტექნიკის, სტენლის, ან ტრანსფერული ქაღალდის გამოყენებით.

5.6 ბეჭვდა (როგორც ცალკეული პროცედურა) განმარტებულია როგორც ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ობიექტურად შეფასებული ფუნქცია, როგორიცაა ფერი, დიზაინი, ტექნკური შესრულება, რომელიც ხორციელდება ტექსტილის ზედაპირზე და რჩება მუდმივიად, როლერის, ციფრული ტექნიკის, სტენლის, ან ტრანსფერული ქაღალდის გამოყენებით რომელიც კომბინირებულია სულ მცირე ორ მოსამზადებელ/ დამასრულებელ მოქმედებასთან (როგორიცაა გარეცხვა, გათეთრება, ქსოვილის მერსერიზაციის ხერხით დამუშავება, თერმული

სტაბილიზება, შეგროვება, დაპრესვა დაპატარავებისაგან დამცავი დამუშავება, დასრულება, გაშრობა, გაწურვა, დაზიანებული ქსოვილის მოწესრიგება, ნართის გადარჩევა), გათვალისწინებულია რომ ყველა გამოყენებული მასალის ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს პროდუქტის მწარმოებლის ფასის 50%-ს.

შენიშვნა 6 – დასაშვები ცდომილება პროდუქტებისათვის, რომლებიც დამზადებული ტექსტილის მასალების ერთიანობით

6.1 სადაც, სიაში წარმოდგენილი პროდუქტისათვის, მითითებულია ეს შენიშვნა, მესამე სვეტში(3) წარმოდგენილი პირობები, არ ეხება ამ პროდუქტის წარმოებაში გამოყენებული ნებისმიერი ძირეული ტექსტილის მასალებს და რომელიც გაერთიანებით, წარმოადგენს ყველა გამოყენებული ძირეული ტექსტილის მასალების მთლიანი წონის 15%-ს ან ნაკლებს.

6.2 თუმცა მეექვსე შენიშვნაში წარმოდგენილი დასაშვები ცდომილება, შეიძლება მიესადაგოს მხოლოდ კომბინირებულ პროდუქტებს, რომლებიც დამზადდა ორი ან მეტი ძირეული ტექსტილის მასალიდან.

ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები წარმოადგენენ ტექსტილის ძირითად მასალებს:

- აბრეშუმი;
- მატყლი;
- ცხოველების უხეში ბეწვი;

- ცხოველის რბილი ბეწვი ;
- ცხენის ბეწვი;
- ბამბა;
- ქაღალდის შექმნისათვის საჭირო მასალები და ქაღალდი;
- სელი;
- ნამდვილი კანაფი;
- ჯუთი და სხვა ტექსტილის ლაფნის ბოჭკო;
- სიზალი და სხვა აგავას სახეობის სხვა ტექსტილის ბოჭკოები;
- ქოქოსი, აბაკა, რამი სხვა ბოსტნეულის ტექსტილის ბოჭკოები;
- სინთეზური, ხელოვნური პოლიპროპილენის ძაფის ბოჭკო;

- სინთეზური, ხელოვნური პოლიეთერის ძაფის ბოჭკო;
- სინთეზური, ხელოვნური პოლიამიდის ძაფის ბოჭკო;
- სინთეზური, ხელოვნური, პოლიაკრილონიტრილის ძაფის ბოჭკო;
- სინთეზური, ხელოვნური, პოლიიმიდის ძაფის ბოჭკო;
 - სინთეზური, ხელოვნური, პოლიტეტრაფთორეთილენის ძაფის ბოჭკო
 - სინთეზური, ხელოვნური, პოლი(ფენილენის სულფიდის) ძაფის ბოჭკო;
- სინთეზური, ხელოვნური, პოლი(ვინილის ქლორიდის) ძაფის ბოჭკო;
- სხვა სინთეზური ხელოვნური ძაფის ბოჭკო;
- ხელოვნური ვისკოზას ძაფის ბოჭკო;
- სხვა ხელოვნური ძაფის ბოჭკო;
- ელექტროდენის გამტარი ძაფი;
- სინთეზური ხელოვნური პოლიპროპილენის ძაფების ნართი
- სინთეზური ხელოვნური პოლიესტერის ძაფების ნართი
- სინთეზური ხელოვნური პოლიამიდის ძაფების ნართი
- სინთეზური ხელოვნური პოლიაკრილონიტრილის ძაფების ნართი
- სინთეზური ხელოვნური პოლიიმიდის ძაფების ნართი
- სინთეზური ხელოვნური პოლიტეტრაფთორეთილენის ძაფების ნართი
- სინთეზური ხელოვნური პოლი(ფენილენის სულფიდის) ძაფების ნართი
- სინთეზური ხელოვნური პოლი (ვინილ ქლორიდის) ძაფების ნართი
- სხვა სახის სინთეზური ხელოვნური ძაფების ნართი
- ვისკოზის სინთეზური ხელოვნური ძაფების ნართი
- სხვა სახის ხელოვნური ძაფების ნართი
- პოლიურეთანისგან დამზადებული ნართი რომელიც დანაწევრებულია პოლიესტერის მოქნილი ნაწილებისაგან და შეიძლება იყოს დახვეული ან დაუხვეველი
- სათაურის 5605ის პროდუქტები(მეტალის ნართი) რომლებიც შეიცავს ზოლს პოლიეთილენის შესაფუთი ფირის ან ფოლგის შიგნითა სამაგრი არის თუ არა დაფარული ალუმინის ფხვნილით, არ აღემატებოდეს 5მმ-ს, სენდვიჩისებრი განლაგებით გამჭვირვალე ან ფერადი წებოვანი პოლიეთილენის შესაფუთი ფირით ორ ფენას შორის.
- 5605ე ჯგუფში არსებული სხვა პროდუქტები
- მინის ბოჭკოები
- მეტალის ბოჭკოები
- მინერალური ბოჭკო

6.3 იმ პროდუქტების შემთხვევაში, რომლებიც ერთიანდებიან “პოლიურეთანისგან დამზადებული ნართი რომელიც დანაწევრებულია პოლიესტერის მოქნილი ნაწილებისაგან, რომელიც არის დახვეული ან დაუხვეველი“ დასაშვები ცდომილება შეადგენს 20% ამ ნართთან დაკავშირებით.

- 6.4 იმ პროდუქტების შემთხვევაში, რომლებიც შეიცავენ ზოლს, რომელიც თავის მხრივ შედგება პოლიეთილენის შესაფუთი ფირის ან ფოლგის შიგნითა

სამაგრისაგან, არის თუ არა დაფარული ალუმინის ფხვნილით, არ აღემატებოდეს 5მმ-ს, სენდვიჩისებრი განლაგებით გამჭვირვალე ან ფერადი წებოვანი პოლიეთილენის შესაფუთი ფირით ორ ფენას შორის. დასაშვები ცდომილება წარმოადგენს 30%-ი ამ ზოლთან მიმართებით.

შენიშვნა 7 – კონკრეტული ტექსტილის პროდუქტებთან გამოყენებადი სხვა დასაშვები ცდომილება

7.1 სიაში სადაც ამ შენიშვნის მოხსენიება ხდება, ტექსტილის მასალები (გარდა სარჩულისა და შიდა სარჩულისა) რომლებიც არ აკმაყოფილებენ მე-3 სვეტში წარმოდგენილ კანონს მზა პროდუქტებისათვის, შესაძლებელია მათი გამოყენება იმის უზრუნველყოფით, რომ ისინი დაჯგუფებულია ამ პროდუქტის გარადა არსებულ სხვა ჯგუფში და მათი ღირებულება არ აღემატება 15%-ს

7.2 შენიშვნა 7.3-ისათვის ზიანის მიუყენებლად, 50-დან 63 თავებში დაუჯგუფებელი მასალები შეიძლება თავისუფლად იქნას გამოყენებული ტექსტილის პროდუქტების წარმოებაში, შეიცავენ თუ არა ისინი ტექსტილს.

7.3 იქ, სადაც პროცენტულობის წესი არის გამოყენებული, იმ წარმოშობის არმქონე იმ მასალების ღირებულება, რომლებიც არ არის დაჯგუფებული 50-დან 60-ე თავებში, მხედველობაში მაშინ უნდა იქნას მიღებული, როდესაც წარმოსობის არმქონე მასალების ღირებულების კალკულაცია არის გაერთიანებული.

შენიშვნა 8 – კონკრეტული პროცესების განმარტება და 27-ე თავის მარტივი ღონისძიებების განხორციელება კონკრეტული პროდუქტების მიხედვით

8.1 სათაურის ex2707 და 2713-ის მიზნებიდან გამომდინარე, „კონკრეტული პროცესები შემდეგს გულისხმობს“:

(ა)ვაკუუმ-დისტილაცია;

(ბ)ხელახალი დისტილაცია ზედმიწევნითი დაფრაქციების საშუალებით

(გ) დაშლა

(დ) რეფორმირება

(ე) კონცენტრატის მიღება შერჩეული გამხსნელების საშუალებით

(ვ) პროცესი რომელიც მოიცავს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ მოსამზადებელ სამუშაოებს: კონცენტრირებული გოგირდმჟავით დამუშავება, ოლეუმის ან გოგირდის ანჰიდრიდით, ტუტე აგენტებით ნეიტრალიზაცია, გაუფერულება და გაწმენდა ბუნებრივად აქტიური მიწით, გააქტიურებული მიწით, გააქტიურებული ნახშირბადით ან ბოქსიტით.

(ზ) პოლიმერიზაცია

(თ) ალკილაცია

(ი) იზომერიზაცია

